ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №3, მარტი, 2016

მთავრობის თავმჯდომარემ უნივერსიტეტში დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ და რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშვა უნივერსიტეტში განახლებული სასწავლო და სამეცნიერო ობიექტები მოინახულეს. მთავრობის თავმჯდომარემ რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ახალი კორპუსის სრულიად რეაბილიტირებული მე-4 და მე-5 სართული დაათვალიერა. ასევე, მოინახულეს სტუდენტებისათვის მოწყობილი თავისუფალი სამუშაო სივრცეები, საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, განახლებული ზოოლოგიისა და მინეროლოგიის კაბინეტები, იურიდიული კლინიკა, განახლებული სასამართლო საიმიტაციო დარბაზი, თანამედროვე კრიმინალისტიკური ლაბორატორია, ფოტო-ვიდეო სტუდია და ა.შ. გაესაუბრა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

სარემონტო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს. სრულიად განახლდა და კეთილმოეწყო ტექნილოგიური ფაკულტეტი, სასწავლო და სამეცნიერო ფართები, განახლდა ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2015 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 1 მილიონ 630 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოების დასრულებისათვის აჭარის ა/რ მთავრობის ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გადმოირიცხა, რაც 2016 წელს 5 სართულიანი კორპუსის სრულიად განახლებას მოხმარდება.

იუნკერების ხსენების დღე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ბათუმის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირები გაიხსენეს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეზოდან ტრადიციული მსვლელობა მოაწყვეს, მემორიალური ქვა ყვავილებით შეამკეს და სანთლები დაანთეს. ღონისძიება სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურისა და ორგანიზებით გაიმართა. 1921 წლის 23 მარტს იუნკერები საქართველოს ერთიანობისთვის წარმოებულ უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. საბრძოლო მოქმედებების დროს 50 ქართველი მეომარი დაიღუპა.

ადმინისტრაციის საჯარო შეხვედრა სტუდენტებთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო შეხვედრა გაიმართა სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, სტუდენტურ თვითმმართველობას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის. შეხვედრის მიზანი იმ ძირითადი საკითხების საჯარო განხილვა იყო, რომელზედაც, ბოლო დროს, აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში: უნივერსიტეტის ავტონომიურობის გაფართოება და სტუდენტური თვითმმართველობის მოდელირება.

შეხვედრაზე, სტუდენტთა ნაწილმა საკუთარი ეჭვი დააფიქსირა უნივერისტეტში ეგრეთწოდებული „'ოდეერის" არსებობის თაობაზე, მის მიერ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იარაღით გადაადგილების ფაქტზე და სახელმწიფოს აქტიურ ჩარევაზე შიდასაუნივერსიტეტო საქმიანობაში. სტუდენტების მხრიდან ბრალდებები გაისმა სტუდენტური თვითმმართველობის მხრივაც. კერძოდ, თვითმმართველობის წევრების მჭიდრო კავშირზე პოლიტიკურ პარტიებთან და ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაზე. საკითხს ცხარე დისკუსია მოყვა სტუდენტებს შორის. საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მერაბ ხალვაშმა სტუდენტებს საკითხის კონსტრუქციულ რეჟიმში განხილვისაკენ მოუწოდა და კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია უნივერსიტეტის, როგორც თავისუფალი, აპოლიტიკური, სეკულარული საგანმანათლებლო და აკადემიური სივრცის არსებობაზე და ხაზი გაუსვა მისი მმართველობის პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან შიდასაუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩარევის ფაქტების არარსებობას.

საჯარო შეხვედრა ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის შეთანხმებით დასრულდა. დაიგეგმა სპეციალური საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც , სტუდენტების მიერ დასმულ საკითხებს შეისწავლის და დათქმულ ვადაში კანონში შესატან ცვლილებებს წარმოადგენს.

თანამშრომლობის მემორანდუმი ბსუ-სა და პოლონეთის ქ. ვროცლავის უმაღლეს სასწავლებლებს შორის

2016 წლის 25-29 თებერვალს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში პოლონეთის ქალაქ ვროცლავში აჭარის დელეგაციის მიერ გამართულ ოფიციალური შეხვედრებში მონაწილეობდა. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შეხვედრები გამართა ვროცლავის უმაღლეს საბანკო სკოლისა და ფიზიკური აღზრდის აკადემიის რექტორებთან. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული პუნქტების განხორციელება. მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციებისა და კვლევების ჩატარებაში, სამეცნიერო კრებულის გამოცემაში. მიმდინარე წლის აპრილ-მაისში ვროცლავის საბანკო უმაღლესი სკოლის მიერ მოწყობილ საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის უნივერსიტეტის ბიზნესის მიმართულების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას „რასმუს +" პროგრამის ამოქმედებას უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას კვლევისა და სწავლების სფეროში, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცლით პროგრამებსა და სტაჟირებას.

სოლიდარობის აქცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილმა დაანონსებული სოლიდარობის აქცია გამართა. სტუდენტებმა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მხარდაჭერა გამოუცხადეს. და კიდევ ერთხელ გააჟღერეს სოციალურ ქსელებში გავრცელებული მოთხოვნათა სამი პუნქტი:

1. უნივერსიტეტის გათავისუფლება უშიშროების გავლენებისაგან;
2. თვითმმართველობის პრივილეგიების აღკვეთა და თანასწორი გარემოს შექმნა ყველა სტუდენტისათვის;
3. გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებისას.

ცენტრის საქმიანობის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრი ახალ (მიმდინარე) სასწავლო წელს სიახლეებით შეხვდა. მოგეხსენებათ, 2015 წლის ზაფხულში უნივერსიტეტში დაწყებულმა სარემონტო სამუშაოებმა მოიცვა მთლიანად უნივერსიტეტი, მისი ყველა კორპუსი. ბუნებრივია, ეს შეეხო საგამოცდო ცენტრსაც. ცენტრი მთლიანად გადავიდა მე-3 კორპუსში, ფიროსმანის ქუჩაზე სრულიად ახალ გარემონტებულ და მე ვიტყოდი კომფორტულ გარემოში. აღნიშნულ კორპუსში ცენტრი განლაგებულია მე-3 სართულზე ორი აუდიტორიით, (შესაბამისად 67 და 40 ადგილი). გვაქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოვიყენოთ კიდევ ერთი აუდიტორია, სადაც 30 კომპიუტერია განთავსებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო ცენტრში მანამდე ვერ ხერხდებოდა სტუდენტების დროულად გადანაწილება, რაც იწვევდა ზედმეტ ხმაურსა და უკმაყოფილებას სტუდენტების მხრიდან. ამჟამად ეს პრობლემა მოხსნილია და სტუდენტებს უკვე საშუალება აქვთ ერთდროულად დასხდნენ გამოცდაზე, აღარაა ერთმანეთის მიმართ ხელშეშლა, ხმაური და ა. შ. გვაქვს იმედი, რომ კიდევ უფრო კომფორტული გახდება ჩვენს ცენტრში გამოცდების ჩაბარება, როდესაც დასრულდება საგამოცდო ცენტრის აღჭურვა ჟალუზებით, კონდიციონერით და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით.

ახალ შენობაში გადასვლამ აუცილებელი გახადა სრულიად ახალი კომპიუტერული ქსელის გამართვა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კომპიუტერული მომსახურება, გამოიცვალა მოძველებული ტექნიკაც. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას საგამოცდო ცენტრის თანამედროვე დონეზე აღჭურვისა და ზოგადად, საგამოცდო საქმიანობისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამო, რაც სემესტრული გამოცდების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებას გულისხმობს.

გარდა აღნიშნულისა, გვაქვს სხვა სიახლეებიც. მნიშვნელოვნად დაიხვეწა საგამოცდო პროგრამა; როგორც აღვნიშნე, განახლდა კომპიუტერული ტექნიკაც, შევიძინეთ 70 ცალი ახალი კომპიუტერი. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, ჩვენც გაგვიადვილა საქმიანობა და შესაბამისად, სტუდენტებსაც კომფორტულ გარემოში უხდებათ გამოცდის ჩაბარება. მეორე სემესტრიდან კი უკვე საჭირო აღარ იქნება გამოცდაზე სტუდენტის მიერ პირადობის მოწმობის წარდგენა. კომპიუტერულად დამუშავდა ყველა იმ სტუდენტის ფოტოსურათი, რომლებიც გამოცდებს საგამოცდო ცენტრში ჩააბარებენ. გამოცდის დაწყების წინ კი ეკრანზე ავტომატურად ჩნდება შესაბამისი სტუდენტის ფოტო, რაც აიოლებს სტუდენტის იდენტიფიცირებას. უკვე შეთანხმებულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და მალე გვექნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საგამოცდო ცენტრის ფანჯარაც, სადაც გამოცდის დასრულების შემდეგ ავტომატურად აისახება შედეგი. სტუდენტს შეეძლება პირადი ნომრით ნახოს საკუთარი „მონაპოვარი“, ხოლო მთლიანად ჯგუფის შედეგების ნახვა შეეძლება მხოლოდ პედაგოგს და ამისთვის მასაც მოუწევს საკუთარი პირადი ნომრის შეყვანა შესაბამის კომპიუტერულ ქსელში.

ახალი სასწავლო წლიდან საკმაოდ მოგვემატა სამუშაოც. თუ ადრე სემესტრში ერთი რეიტინგული და ერთიც ძირითადი გამოცდა ტარდებოდა, ეხლა ორი რეიტინგული და ერთი ძირითადი გამოცდის ჩატარება გვიწევს. მოგეხსენებათ, თითოეული გამოცდის წინ ჩვენ მიერ ხდება სხვადასხვა დეპარტამენტებში ცალკეულ საგნებზე მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ტესტების დამუშავება, რაც დამეთანხმებით, საკმაოდ შრომატევადი საქმეა.

გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრი ჩვენს უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია არსებობს. ამ მიმართულებით საკმაო გამოცდილებაც დაგვიგროვდა. ვფიქრობ, შესაბამისად მაღალია სტუდენტებისა და პედაგოგების მხრიდან ჩვენდამი ნდობაც. ეს კი იმ საგნების რაოდენობას ზრდის, რომლებშიც ჩვენთან ბარდება გამოცდა და დღეისათვის მათი რაოდენობა დაახლოებით 250-ზე მეტს შეადგენს.(საგნების რაოდენობას ზრდის ისიც, რომ ერთსა და იმავე საგანს სწავლობს რამდენიმე ჯგუფი).

ვფიქრობ, ეს არ არის ყველაფერი, რასაც უნდა დავჯერდეთ, გვაქვს კიდევ არერთი იდეა. რამდენიმე მათგანზე ვმუშაობთ, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს საგამოცდო ცენტრის საქმიანობის ხარისხს.

აბესალომ ასლანიძე,
გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრის დირექტორი

ქალი — ერის გვირგვინი, საზოგადოების განძი...

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში აჭარის ქალთა საბჭოს დაარსებიდან 90 წლის იუბილე აღინიშნა. ამავე შეხვედრაზე ქალაქ ბათუმის მერმა პროფესორ ნანი გუგუნავას, რომელიც ქალთა საბჭოს 1991 წლიდან ხელმძღვანელობს, საპატიო ბათუმელის წოდება მიანიჭა. ეს დიდი ჯილდო ქალბატონი ნანის 75 წლის იუბილეს დაემთხვა.

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ რედაქცია მკითხველთა სახელით ვულოცავთ ქალბატონ ნანის იუბილესა და საპატიო ბათუმელის წოდებას. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ხანგრძლივ სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობას გისურვებთ. ქალბატონო ნანი, ბევრი კეთილი საქმე გეკეთებინოთ ბათუმისა თუ ბათუმელთა ხვალინდელი დღის საკეთილდღეოდ.

ნანი გუგუნავა
საპატიო ბათუმელი

ისტორიულად საქართველო გმირი და სათაყვანო ქალების ქვეყანაა. მოაბიჯებენ რა საუკუნეთა სიღრმიდან, ჩვენი ქალები მხნედ, მამაცურად, უპრეტენზიოდ ქმნიან ისტორიას, სიცოცხლეს აგრძელებენ, დანგრეულს აშენებენ, ენას, კულტურას ინახავენ, უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობენ მომავალი თაობების წინაშე.

ქართველი ერის პატიოსნება, ზნეობრივი სიწმინდე ოდითგანვე იყო ცნობილი და ამ ზნეობათა სათავე მუდამ იყო ქართველი ქალი. ჩვენმა ქალმა დასაბამიდან დღემდე ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერა ქვეყნის ისტორიაში. იგი მუდამჟამს მტკიცე დედაბოძად ედგა ოჯახსა და სამშობლოს, ამიტომაც ქართველი კაცი დღენიადაგ აღმერთებდა და უზომო პატივს მიაგებდა ქალს, რადგან მას ერის სულიერების, ზნეობრიობის ბურჯად მიიჩნევდა. სწორედ ამიტომაც არის ქალი ჩვენში განსაკუთრებული პატივით შემოსილი და ამიტომაც დომინირებდა მისი კულტი ძველ საქართველოში.

ქალი — ერის გვირგვინი, საზოგადოების განძი, სიცოცხლის საწყისი, მარადიული განახლებისა და სათნოების სიმბოლო, პოეტური მეტაფორების მუზა, შესაშური შეუპოვრობით ამკვიდრებს ქვეყნად სიცოცხლეს, სილამაზეს, ერთგულებას, აყალიბებს სულიერ ღირებულებებს. ქართველი ქალი ოჯახის დედაბოძიც იყო და მძიმე განსაცდელის ჟამს ქვეყნის დამცველიც. ქართველი ქალი მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, ბრწყინვალედ ასრულებდა დესპანის მისიას.

— თუ რომელიმე ერის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო. ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, — როგორც ბარომეტრი ტაროსისა, — ბრძანებდა სიტყვის მეუფე დიდი აკაკი.

ისტორიის ფურცლებმა ქართველი ქალის გონიერების, სიმამაცისა და ზნეობრივი სისპეტაკის აურაცხელი მაგალითი შემოგვინახა. იგი ხომ ქართველთა მოდგმის სულს აყალიბებდა და ჩვენი ერის უკვდავებას ემსახურებოდა.

ქალისადმი თაყვანისცემა მიწიერ კრიტერიუმებს არ ემორჩილება. „ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“ — გვმოძღვრავს ვაჟა ფშაველა.

ჩვენმა ქვეყანამ გმირობისა და შეუპოვრობის, თავისუფლებისათვის ბრძოლის შარავანდედით მოსილი არაერთი ქალის ბრწყინვალე სახელი დაუტოვა მემკვიდრეობას.

გავიხსენოთ ის პირველი ქალები, რომლებმაც თავიანთი ძლიერი სულით, უტეხი ნებისყოფითა და გონიერებით უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში.

ბიბლიაში მრავალი ქალის სახელია მოხსენებული. მეტად გრძელი და არაერთგვაროვანია გზა პირველი ქალიდან თანამედროვე მანდილოსნამდე. ზოგიერთმა ქალმა ღრმა კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. უფრო მეტიც — ზოგი მათგანი კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხაც განაპირობებდა. ამის დასტურად ქალთა მოდგმის სიამაყის, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხსენება კმარა. ქართველებს ოდითგანვე ქალი წმინდანებიც გვყავდა, სამშობლოს სამსხვერპლოზე თავშეწირულნიცა და მამულის სამსახურში დაფერფლილნიც. ძლევამოსილი მეფის გვირგვინიც ამშვენებდა ქართველ ქალს. რად ღირს დიდებული მეფეთმეფე თამარის სახელი, რომლის წინამძღოლობისა და მფარველობის დროს ქართველი ერი მედგარი, ძლიერი, რაინდული და კეთილშობილური იყო.

მოძრაობამ ქალთა უფლებებისათვის, ემანსიპაციამ მართლაც მოიტანა სიკეთე, მაგრამ არ უნდა დავკარგოთ ღვთის მიერ ბოძებული ის ბუნებრივი უფლება, რასაც ჰქვია ქალი — მეუღლე, მეგობარი, ქალი — მშვიდობის, სიყვარული, ერთგულების, სინაზისა და სიცოცხლის მიმნიჭებელი.

ქალი იყო მსოფლიოს უდიდეს ხელოვანთა შედევრების შთამაგონებელი. კალმის, ფუნჯისა თუ ჰანგების რომელ ოსტატს აუვლია გვერდი ამ თემისათვის. თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის უკვდავ შედევრებში დახატული ქალთა მხატვრული სახეები, საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა მოდგმის სულს აყალიბებდა. ქართული ხალხური სიტყვიერება ყოველთვის აიდეალებდა ზნეფაქიზ, ოჯახისა და სამშობლოს მოყვარულ ქალს. ქართულმა მწერლობამ ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში შეამკო რწმენა ურყევი, შეუპოვარი მებრძოლი ქალის — შუშანიკის შესანიშნავი სახე.

ჩვენს ენას დავუკვირდეთ, მას დედა ენას ვეძახით და, საერთოდაც, ყველაფერს ძირითადს, არსებითს ქართულ ენაში „დედის“ ფუძე აქვს. ქართულმა ენამ დააკანონა ბრძენი ილიას გამოთქმა — „ქართვლის დედა“ და ამით სამუდამოდ აამაღლა ქალის ღირსება და ქართვლის დედა საქართველოს სიმბოლოდ აქცია. მართლაც და რა შეედრება ამ უნეტარეს გრძნობას, რომელიც უკიდეგანოა თავისი შინაარსით. დედის მადლი და ლოცვა-კურთხევა ჩვენი მარადიული მეგზურია და ცხოვრების ურთულეს ლაბირინთებში გვინათებს გზას.

ნანი გუგუნავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი — წარმატებული მომავლის საფუძველი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო თვეებია სარემონტო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. იცვლება ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შეიქმნა ახალი ლაბორატორიები და შეიცვალა ცოდნის შეფასების სისტემა. უნივერსიტეტი 80-წლიან გამოცდილებაზე დამყარებულ თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებს ნერგავს, რაც მას უფრო მიმზიდველს ხდის. ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, ქალბატონ ინგა შამილიშვილს ვესაუბრებით.

— ქალბატონო ინგა, უკვე რამდენიმე თვეა შეუჩერებლივ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. რა ფაზაშია იგი დღეს და რა იგეგმება მომავალში?

— უნივერსიტეტში აქტიური სარემონტო სამუშაოები გასული წლის ზაფხულიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. მთლიანად გარემონტდა ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა და სტუდენტებს საშუალება მიეცათ სრულიად ახალ გარემოში დაეწყოთ ახალი სასწავლო წელი. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობას, სადაც განთავსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. გარემონტდა აგრეთვე რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ხუთსართულიანი შენობის მეხუთე და მეოთხე სართულები, აგრეთვე მესამე სართულის, სადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტია განთავსებული, რამდენიმე კაბინეტი. ამჯერად აქტიური სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსში, სადაც განთავსდება რამდენიმე მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო სტრუქტურა და მოეწყობა სასტუმრო ნომრები, რაც საჯარო ლექციების ფორმატით მოწვეული პროფესორებისა და უნივერსიტეტის სტუმრების დაბინავების საშუალებას მოგვცემს. ამავე კორპუსში განთავსდება თანამედროვე სტომატოლოგიური და ფსიქოლოგიური კლინიკები, მოსამზადებელი და უწყვეტი განათლების ცენტრები. კიდევ ერთი საინტერესო სიახლე გახლავთ ის, რომ ამავე შენობაში იქნება ვიდეო და სამონტაჟო აპარატურით აღჭურვილი სატელევიზიო სტუდია, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდება საინტერესო სტუდენტური პროექტების განხორციელება და ადგილობრივი მედიასაშუალებებთან თანამშრომლობით სტუდენტური გადაცემების მომზადება. ეს მცირედია, რაც კეთდება და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ. ამ ზაფხულისათვის იგეგმება ხუთსართულიანი შენობის სრული რეაბილიტაცია, საუნივერსიტეტო სტამბის ინფრასტრუქტურის მოწყობა და თანამედროვე აპარატურით აღჭურვა. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს ყველაფერი ვერ განხორციელდებოდა, რომ არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანადგომა და უშუალო დახმარება.

— უნივერსიტეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი ლაბორატორია შეიქმნა, რამაც ხელი შეუწყო სტუდენტების თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით და იგეგმება თუ არა მსგავსი პროექტების განხორციელება შემდეგშიც?

— როდესაც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციასა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ფუნქციონირებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ მისი თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აპარატურით აღჭურვას. იმას, რომ თითოეული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, ადასტურებს ღია სივრცეები, რომლებიც დერეფნებში მოეწყო და სადაც შესაძლებელია ღია ბიბლიოთეკებითა და ინტერნეტით სარგებლობა. გარემონტებული სტომატოლოგიური კლინიკა მთლიანად აღიჭურვება თანამედროვე აპარატურით, ძირითადი სასწავლო ბაზა გახდება და მისი მომსახურებით სარგებლობას უნივერსიტეტის თანამშრომლებიც შეძლებენ. მაგრამ ალბათ ცალკე უნდა გამოიყოს ჩვენს უნივერსიტეტში ფაბლაბის შექმნა. ამ განსაკუთრებული ინოვაციური პროექტის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც მსგავსი რამ ილიაუნიში შეიქმნა. რექტორატისა და ადმინისტრაციის თხოვნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენელთა ოფიციალური ვიზიტი განხორციელდა, რასაც მალევე

დონორი ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა სტუმრობა მოყვა და გადაწყდა, რომ ბათუმში სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდებოდა ინოვაციური ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვებოდა ისეთი თანამედროვე აპარატურით, როგორებიცაა 3დ პრინტერი, ლაზერული მჭრელი და სხვა. აქ თითოეულ სტუდენტს მიეცემოდა საკუთარი იდეის

განხორციელებისა და პროტოტიპირების საშუალება. ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი ფაბლაბის ფაბლაბების საერთაშორისო ქსელში ჩართვა და კომერციალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს აქ გაჩენილი ინოვაციური იდეის გავრცელებას და პროექტების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას. სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენთან სტუმრად იყვნენ აშშ-ს ილინოისის უნივერსიტეტის

ფაბლაბის მენეჯერი და ასისტენტი, რომლებმაც საინტერესო ვორქშოპი ჩაატარეს. ამ აქტივობების განხორციელებაში სწორედ ინოვაციების სააგენტო გვეხმარება და მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად ეს ლაბორატორია ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობაშია, იგი ღიაა ნებისმიერი სტუდენტისა თუ დაინტერესებული პირისათვის, ვინაც შეძლებს ამ სივრცეში საკუთარი იდეისა და პროექტის რეალიზებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა ითქვას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მილიონ 100 ათასი ლარი გამოგვიყო აგრარული მიმართულების ლაბორატორიის შესაძენად, რაც, დამერწმუნეთ, კვლევითი და სასწავლო კომპონენტის შერწყმის საფუძველი გახდება.

— ქალბატონო ინგა, თქვენ სასწავლო პროცესი ახსენეთ და უნდა გკითხოთ, განვლილი ერთი სემესტრის გადასახედიდან რამდენად გაამართლა წელს დანერგილმა შეფასებისა და ელექტრონული მართვის ახალმა სისტემებმა.

— ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი საკითხია. ვერანაირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ უზრუნველყოფს კვალიფიცირებული, კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას, რომ არა თანამედროვე და ეფექტური სწავლების მეთოდოლოგია და მოქნილი შეფასების სისტემა. სწორედ ამაზე ვაკეთებდით აქცენტს, როდესაც დავიწყეთ სწავლისა და სწავლების ამ სისტემაზე მუშაობა, და შემდეგაც, როდესაც იგი პრაქტიკაში განვახორციელეთ. მართალია თავიდანვე იყვნენ მოწინააღმდეგეებიც, ყველამ ვიცით, რომ ახალს სიხარულით არავინ იღებს, მაგრამ სემესტრის დასრულების შემდეგ მინდა განვაცხადო, რომ სისტემამ იმუშავა. ამის დასტური კი ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გააქტიურებული სტუდენტები და სავსე ბიბლიოთეკა გახლავთ. სტუდენტები თავად აღნიშნავენ, რომ გაიზარდა პასუხისმგებლობა და მოტივაცია, როგორც მათი, ასევე პროფესორ-მასწავლებლების მხრიდანაც. მნიშვნელოვანი გახლდათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ამოქმედებაც. მართალია იგი საპილოტე რეჟიმში მუშაობდა, იყო ხარვეზებიც, თუმცა ამ სემესტრში იგი გაცილებით უფრო გამართულად და ეფექტურად იმუშავებს. როდესაც შეფასების ელექტრონულ სისტემებზე ვსაუბრობთ ხაზი უნდა გავუსვათ უნივერსიტეტში გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრის ეფექტურ მუშაობას. ჩვენ შევძელით ეს ცენტრი ერთიან სივრცეში მოგვექცია, ახალი პორტატული კომპიუტერებითა და ნოუთბუქებით აღგვეჭურვა, რამაც უზრუნველყო ცენტრის გამართული და ეფექტური მუშაობა.

— უნივერსიტეტის განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან. რა ვითარებაა ამჯერად და იგეგმება თუ არა სიახლეები ამ მიმართულებითაც?

— გეთანხმებით რომ უნივერსიტეტის განვითარება წარმატებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ეფუძნება. ჩვენ აქტიურად ვემზადებოდით აკრედიტაციის პროცესისათვის, სადაც ახალი საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენაც იგეგმებოდა. საკანონმდებლო ცვლილებების გამო ეს პროცესი გადაიდო, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებთ ამ მიმართულებითაც პერმანენტულად სიახლეების დანერგვას. ამ სასწავლო წლისათვის ოთხმა სამაგისტრო და ერთმა მაინორ პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მისცემს შესაბამისი პროფილის კურსდამთავრებულს მიიღოს მასწავლებლის კვალიფიკაცია. საინტერესო სიახლე გახლავთ ე.წ. მოდულური პროფესიული პროგრამები. ეს მიმართულება ბოლო წლებია საგანმანათლებლო სფეროს პრიორიტეტად იქცა. ისინი ხორციელდება სრული სახელმწიფო დაფინანსებით და ითვალისწინებს შესაბამისი მატერიალურ — ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას. ასეთი პროგრამა „არქიტექტორ-ტექნიკოსი“ ჩვენთან ამოქმედდა გასულ წელს, ცოტა ხნის წინ კი წარმატებით გაიარა ავტორიზაცია ორმა პროგრამამ „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერმა“ და „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორმა“, სადაც სასწავლო პროცესი მაისიდან დაიწყება. ამ პროგრამების ფარგლებში შეიქმნა შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები. განსაკუთრებით მინდა გამოვყო „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის მიმართულების აღდგენას შეუწყობს ხელს, რომლის გაუქმებამ გარკვეული ვაკუუმი შექმნა რეგიონულ მედიაში და ვიმედოვნებთ, რომ ახალი პროგრამის ამოქმედება და სატელევიზიო ბაზის შექმნა ხელს შეუწყობს მის აღდგენასა და გაძლიერებას. გარდა ამისა ჩვენ ვგეგმავთ კიდევ რამდენიმე ახალი პროგრამის ამოქმედებასაც.

და ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ღირსეულად აგრძელებს თავის გზას და ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად ინოვაციურ პროექტებსაც ახორციელებს. ის, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, მცირედია, იმასთან შედარებით, რაც გაკეთდა და რის გაკეთებასაც მომავალში ვგეგმავთ. ეს კი იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტის წარმატებული მომავლის საფუძველია.

„მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!“

21 მარტს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტისა და ბიოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო კლუბის ორგანიზებით მოეწყო დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ვორქშოპი: „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!“. ღონისძიების მიზანი იყო სტუდენტებში დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

რატომ 21 მარტი?

დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ „ოწნშყნდრომელნტერნეტიონალ“ (DSI) 2006 წლიდან, 21 მარტი ამოირჩია მსოფლიო დაუნის სინდრომის დღედ და ყოველ წელიწადს სხვადასხვა ქვეყნებში აღნიშნავენ ამ დღეს. დღე და თვე შემთხვევით არ აურჩევიათ. 21—ე ქრომოსომას აღნიშნავს თარიღი 21, ხოლო მარტი, როგორც წელიწადის მესამე თვე — ტრისომიული მოვლენა 03. უკვე მეოთხე წელია ამ ღონისძიებას საქართველოც უერთდება. 2015 წელს 13 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით თბილისში მასშტაბური ღონისძიებები ჩატარდა, ორგანიზატორი კი კავშირი „ჩვენი ბავშვებია“.

2013 წელსვე დამკვიდრდა უთვალავი წინდის ტრადიცია, მიზანი — მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვაა. რატომ წინდები? უთვალავი ფერადი წყვილი წინდები კი გარეგნულად ქრომოსომას წააგავენ.

დაუნის სინდრომი ქრომოსომური დარღვევაა (მუტაციაა). მუტაცია გულისხმობს ცვლილებას არა მარტო გენში, არამედ — ქრომოსომათა რაოდენობაშიც. ყოველ სახეობას მისთვის დამახასიათებელი ქრომოსომათა რიცხვი და მორფოლოგია აქვს. ადამიანის სომატურ უჯრედში 46 ქრომოსომაა. სასქესო უჯრედებში კი — 23. მუტაციის შედეგად გენებისა და ცალკეული ქრომოსომების გენომიც იცვლება. დაუნის სინდრომი მიტოზის ან მეიოზის დარღვევის გამო უჯრედის პოლუსებისკენ ქრომოსომათა არათანაბარი განაწილებით არის გამოწვეული. შედეგად მიიღება სომატური უჯრედები ან გამეტები, რომელთაც ნორმალურთან შედარებით მეტი ან ნაკლები ქრომოსომა აქვთ. თუ ასეთი გამეტა განაყოფიერებაში მონაწილეობს, ზიგოტაში ან მისგან ფორმირებული ორგანიზმის უჯრედებში ქრომოსომთა რიცხვი 46აღარ იქნება.ცხადია, ასეთი ანომალია სხვადასხვა დაავადების ან ლეტალური ეფექტის სახით გამოვლინდება.

დადგენილია კავშირი დედის ასაკსა და დაუნის სინდრომს შორის. რაც უფრო ასაკოვანია დედა, მით უფრო მეტია დაავადებული შვილის ყოლის რისკი.

ამჟამად ქრომოსომთა შეცვლილი რაოდენობის ამოცნობა ჩანასახის განვითრების ადრეულ პერიოდშიც არის შესაძლებელი ე.წ. პრენატალური (ანუ დაბადებამდე) დიაგნოსტიკის მეშვეობით. ორსულობის 14-16 კვირის ჩანასახოვანი პარკიდან შპრიცის მეშვეობით იღებენ სანაყოფე სითხეს, რომელიც ცხოველქმედების პროდუქტების გარდა ნაყოფის უჯრეედებსაც შეიცავს. ამ მეთოდს ამნიოცენტეზი ჰქვია. სანაყოფე სითხიდან ცენრტიფუგირების მეთოდით აცალკევებენ უჯრედებს და ამრავლებენ საკვებარაზე ანუ ახდენენ მათ კულტივირებას. კულტივირებული ემბრიონული უჯრედების ქრომოსომებიდან ქმნიან კარიოტიპს მათში ქრომოსომული და გენომური მუტაციების გამოსავლენად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა არასასურველი დიაგნოზის დროს მშობლებმა მიიღონ გადაწყვეტილება ორსულობის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები მხიარულები, გულკეთილები და აგრესიას სრულიად მოკლებული არიან. ისინი, ყველას მიმართ კეთილად განწყობილნი ყოველთვის მზად არიან ყველასთან იმეგობრონ. მაგრამ ისინი ალბათ ვერასოდეს მიხვდებიან, თუ რატომ უცრემლდებათ ასე ხშირად თვალები, ყველას თუ არა უმეტესობას საკუთარი დედის სახეც არ ახსოვთ. დაბადებიდან მათ გარშემო სულ სხვა ადამიანები ტრიალებენ. მათ კარგი რომ უთხრათ, რა თქმა უნდა უხარიათ და ცუდს თუ ეტყვით რამეს, იმასაც კი არ იტოვებენ გულში. არსებობდა მითი იმის შესახებ, რომ დაუნის სინდრომით დაავადებულები დიდხანს ვერ ცოცხლობენ და არც შთამომავლობის დატოვების უნარი აქვთ. ამჟამად სათანადო მკურნალობის საშუალებით დაუნის სინდრომის მქონე პირის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაზრდილია (55 წლამდე). ცნობილია ისეთი იშვიათი შემთხვევებიც, როცა ისინი ტოვებენ შთამომავლობას. დღეს ბევრი რამ შეიცვალა. დაუნის სინდრომით დაავადებულებს გასულ საუკუნესთან შედარებით საზოგადოებასთან ინტეგრირების მეტი შესაძლებლობა აქვთ. მათ შეუძლიათ განათლების მიღება, დაოჯახება, შვილის გაჩენა, ხელოვნების ნიმუშების შექმნა და სხვა. მსოფლიო მასშტაბით ცნობილია არა ერთი დაუნის სინდრომის მქონე წარმატებული ადამიანი, ისინი არიან წარმატებული მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობები, სპორტსმენები, მოდელები, ფოტოგრაფები და სხვა. რათქმა უნდა ეს წარმატებები საზოგადოებრივი ფონის შეცვლითაა გამოწვეული. დღეს მსოფლიო მასშტაბით უამრავი ღონისძიება ტარდება იმისათვის, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა თავი საზოგადოებისაგან გარიყულებად არ იგრძნონ.. აი მაგალითად, ესპანეთში გამოიგონეს და გაყიდვაში გამოუშვეს არაჩვეულებრივი თოჯინა — ბავშვები, რომელთაც აქვთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების დამახასიათებელი ნიშნები და თან მოჰყვება პატარა ბროშურა, სადაც აღწერილია, თუ რაა დაუნის სინდრომი და რა სჭირდება ამ სინდრომის მქონე ბავშვებს. გაყიდული სათამაშოების შემოსავლის ნაწილი ესპანეთის დაუნის სინდრომის ორგანიზაციას ერიცხება. როგორც კვლევამ აჩვენა,ძალიან დიდი წარმატებით იყიდება ასეთი თოჯინები.

გახსოვდეთ, რომ ადამიანები დაუნის სინდრომით — არიან სიცილის, ღიმილისა და კარგი ხასიათის ნამდვილი მეფეები, მათ მზის შვილებად მოიხსენიებენ.

რომ გავხადოთ 21 მარტი განსაკუთრებულ დღედ, არსებობს რამდენიმე საშუალება:

- გავიკეთოთ სტაფილოსფერი ნივთი, რომ მხარი დავუჭიროთ ადამიანებს, რომლებსაც მზის შვილებს ეძახიან;
- ავუხსნათ ირგვლივ მყოფთ ამ დღის მნიშვნელობა;
- გავუღიმოთ განსაკუთრებულ ადამიანებს, რადგან ადამიანები იტანჯებიან არა ჯანმრთელობის, არამედ ირგვლივ მყოფთა გულგრილი დამოკიდებულების გამო.

მარინა ნაგერვაძე
ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

22 მარტი — საქართველოში აღინიშნება ტყის დაცვის დღე

ტყის დაცვის დღე ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების სტუდენტებმა აღნიშნეს მცენარეთა დარგვით. ბსუ-ს თვითმართველობის (ნაწილობრივ მათ მიერ იქნა დაფინანსებული) გვერდში დგომით და არასამთავრებო ორგანიზაცია „მწვანე ხედვის“ ორგანიზატორებმა — სატყეო საქმის სპეციალობის გიორგი მახარაძემ, გიორგი ჯინჭარაძემ და აგრონომიის სპეციალობის სტუდენტმა-ლაშა მელაძემ შეიძინეს 150-მდე მრავალწლოვანი მერქნიანი მცენარეების ნორჩი ნერგები; ფიჭვის, სოჭის კიპარისის, მუხის და სხვათა და დარგეს ბათუმის თამარის დასახლების ახალ უბანში, სადაც ძირითადად აფხაზეთიდან დევნილები და ეკომიგრანტები ცხოვრობენ.

ყაზახი სტუდენტები შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

EVEX Medical Corporation

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყაზახი სტუდენტების გაცვლითი მოკლევადიანი პროგრამა დასრულდა. მარატ ოსპანოვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 16 მაგისტრანტმა საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტზე წარმატებით გაიარა საგანმანათლებლო პროგრამა „სამეცნიერო კვლევითი პროექტების ჩატარება მედიცინაში: პრინციპები, მეთოდოლოგია და პრაქტიკა“.

პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტებს ტრენინგები ჩაუტარდათ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებული მტკიცებითი მედიცინის ძირითად პრინციპებზე, კლინიკური გაიდლაინის ვალიდურობაზე და პრაქტიკულ ღირებულებაზე, ჯანდაცვასა და მედიცინაში სტატისტიკის როლზე და მნიშვნელობაზე. პროგრამის ჩატარების ძირითადი ბაზა — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობების ნაწილი განხორციელდა სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის ფილიალის ბაზაზე.

აღნიშნული პროგრამა პირველი პრეცენდენტია დასავლეთ საქართველოში უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისა ჯანდაცვის მიმართულებით. პროექტის ხელმძღვანელი საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი სალომე ღლონტი:

„წარმატება ამ პროექტის განხორციელებაში იყო განპირობებული მრავალი ფაქტორით: აკრედიტირებული სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ არსებობა ჩვენს ფაკულტეტზე, ინტერესი მარატ ოსპანოვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „სამეცნიერო კვლევითი პროექტების ჩატარება მედიცინაში: პრინციპები, მეთოდოლოგია და პრაქტიკა“ მიმართ, ჩვენი ტრენერების პროფესიონალიზმი და აკადემიურობა, უდიდესი მხარდაჭერა პროგრამის მომზადების და განხორციელების პერიოდში უნივერსიტეტის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ, რის გამოც მათ უდიდეს მადლობას მოვახსენებ.

ჩვენი სტუმრები არ მალავდნენ ემოციებს, როგორც სწავლის პროცესთან დაკავშირებით და იყვნენ მონდომებულად ჩართულნი მეცადინეობაში, ასევე აღფრთოვანებას ჩვენი ქვეყნის კულტურის, ბუნების, სამზარეულოსა და სტუმარ-მასპინძლობის მიმართ.

მემორანდუმი ჩვენს უნივერსიტეტებს შორის და განხორციელებული პროგრამის მაღალი შეფასება ჩვენი სტუმარი მაგისტრანტების მიერ, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ ხანგრძლივ და ნაყოფიერ ურთიერთობაზე, რაც უმნიშვნელოვანესია საგანმანათლებლო სფეროში ინტერნაციონალიზაციის იმპლემენტაციის თვალთახედვით“.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა აქცია: „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. აქციის ორგანიზატორები იყვნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტები და ლექტორთა ჯგუფი.

აქტივობა იყო ინფორმაციული ხასიათის, რომელიც მიზნად ისახავდა დაუნის სინდრომის მქონე პირთათვის სოლიდარობის გამოცხადებას და საზოგადოების ინფორმირებას აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

სტუდენტების ჯგუფმა სხვადასხვა ფერის ბუშტებითა და ჭრელი წინდებით მიიქცია საზოგადოების ყურადღება. რატომ ჭრელი წინდა? მიზეზი ისაა, რომ სიმბოლურად ჭრელი წინდა გვაგონებს ქრომოსომის ფორმას და ფერს.

ორგანიზატორებმა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაავრცელეს საინფორმაციო ფლაერები, რომელშიც განმარტებულია, რომ სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში 600-800 ბავშვიდან ერთი დაუნის სინდრომით იბადება. ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც 46 ქრომოსომის ნაცვლად 21-ე წყვილში გვხვდება ერთი დამატებითი ქრომოსომა, რასაც ეწოდება 21-ე ქრომოსომის ტრისომია. 21 მარტი სიმბოლურად აღნიშნავს 21-ე ქრომოსომას, ხოლო მარტი, როგორც მესამე თვე — ტრისომიას. ამ დაავადების მქონე ბავშვი შესაძლოა ეყოლოს ნებისმიერ ადამიანს, იგი გოგონებსა და ბიჭებში ვლინდება ერთნაირი სიხშირით.

დაუნის სინდრომი დაავადება არ არის, ის მხოლოდ გენეტიკური ცვლილებაა, რომელიც მემკვიდრეობით არ გადადის და მითუმეტეს, არც გადამდებია.

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებისთვის მთავარია გარშემო მყოფებისგან სიყვარულის, სითბოს და ყურადღების მიღება.

ჩვენ ყველანი განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ ვართ მეგობრები. ჩვენი ერთიანობა კი სიყვარულსა და თანადგომაშია. საკმარისია, ერთხელ მაინც, მათი თვალებით შევხედოთ სამყაროს, მაშინვე დავინახავთ თუ რა მშვენიერია ის.

ფსიქოლოგიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტები

ჩანართი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასული წლის შემოდგომაზე პროფესიული სწავლების მე-3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა — „კორესპონდენტი“ ამოქმედდა. ექვსთვიანი სწავლების ფარგლებში ჟურნალისტურ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან როგორც ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები, ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები და აბიტურიენტები. ახალგაზრდების ინტერესი და მიზანი საერთოა — ეზიარონ და შეიყვარონ ჟურნალისტის პროფესია. წინამდებარე ჩანართიც სწორედ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტების მიერაა მომზადებული. ეს მათი პირველი ჟურნალისტური ნამუშევარია.

სწავლა — სტუდენტის უპირველესი მოვალეობა

„200 სტუდენტი ივლის-აგვისტოში დასაქმდება“

მარინა გიორგაძე

თორნიკე ბერიძე

ია შალამბერიძე

სტუდენტი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „მეცადინეს“. ამ სიტყვის ხსენებისას, ალბათ წარმოიდგენთ წიგნებში თავჩარგულ, მომავლის იმედით აღსავსე ახალგაზრდას. დასახული მიზნების განსახორციელებლად აწმყოს გამყარებაა საჭირო. ამ უკანასკნელს განათლებით მივაღწევთ, განათლების მიღების ერთ-ერთი წინაპირობა კი კარგი სოციალური პირობებია, რაც ბუნებრივია, ყველას ერთნაირი არ აქვს. ამიტომაც მრავალი სტუდენტი იძულებულია თავად იმუშაოს და გადაიხადოს სწავლის საფასური.

გამონაკლისს არც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს. გამოკითხულთა შორის, 40% დასაქმებულია სხვადასხვა დაწესებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტის უპირველესი მოვალეობა ძველი ცოდნის განმტკიცება და ახალი ინფორმაციის შეთვისებაა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური პირობებიდან გამომდინარე, ისინი იძულებულნი არიან სწავლის პარალელურად დასაქმდნენ. ბუნებრივია, ეს უკანასკნელი კი აკადემიურ მოსწრებაზე აისახება.

სტუდენტთა დასაქმების შესახებ კითხვებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ქალბატონმა **მარინა გიორგაძემ** უპასუხა:

— ქალბატონო მარინა, უნივერსიტეტი რამდენად უწყობს ხელს დასაქმებულ სტუდენტებს?

— ახალი ელექტრონული სისტემა მოითხოვს ყოველდღიურ შეფასებას. სტუდენტი, რომელიც დასაქმებულია, სასწავლო საათების გაცდენა უწევს. გაცდენების 50%-ის შემთხვევაში კი სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება, თუმცა ეს არ ვრცელდება იმ სტუდენტზე, რომელიც დასაქმებული ორგანიზაციიდან შესაბამის ცნობას წარუდგენს უნივერსიტეტს. ამავდროულად, მათ შეუძლიათ ინდივიდუალური გრაფიკით, ლექტორთან შეთანხმებით აღიდგინონ ქულები და სასწავლო საათები. თუმცა ეს პროგრამა არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომლებიც „კერძოდ“ არიან დასაქმებულნი (სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ, მაგრამ არ შეუძლიათ დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა).

— უნივერსიტეტი რამდენად უწყობს ხელს სტუდენტის დასაქმებას?

— ჩვენ ხშირად მოგვმართავს სხვადასხვა დაწესებულება, რომელთაც სჭირდებათ ენების სპეციალისტი და ბეჯით სტუდენტებს რეკომენდაციას ვაძლევთ. 16 მარტს გვქონდა შეხვედრა გაზეთ „ბათუმელების“ მენეჯერთან ბატონ არჩილ კახიძესთან, რომელმაც შესთავაზა სტუდენტებს ერთგვარი „მოხალისის პროგრამა“, რაშიც ისინი ანაზღაურებას მიიღებენ. ამ მხრივ, სტუდენტებმა საკმაო ინტერესი გამოიჩინეს.

— თქვენი აზრით, რამდენად აქტიურადაა ჩართული დასაქმებული სტუდენტი „სტუდენტურ ცხოვრებაში“?

— სტუდენტი, რომელიც მუშაობს, საკმაოდ დაკავებულია და ბუნებრივია, ლექციებს ხშირად აცდენს, რაც გამომდინარეობს სოციალური პირობებიდან — რომ არ იმუშაონ, გადასახადს ვერ გადაიხდიან. ყველაფრის შეთავსებას კი სრულფასოვნად ვერ ახერხებენ.

— რას ურჩევდით სტუდენტებს?

— სტუდენტის უპირველესი მოვალეობა სწავლაა, მაგრამ თუ ის იძულებულია იმუშაოს, ვურჩევდი ჰქონდეს საკმარისი ძალა, ენერგია და ენთუზიაზმი, რომ შეუთავსოს ერთმანეთს წარმატებული სწავლა და სამუშაო გრაფიკი, რაც არ არის მარტივი, თუმცა ჩვენ გვყავს სტუდენტები, რომლებიც ამას ახერხებენ.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, **თორნიკე ბერიძე** 1 წელია, რაც მუშაობს: „მაქვს საკუთარი შემოსავალი და შემიძლია ვხარჯო საკუთარი სურვილისამებრ“. მისივე აზრით, „ეს არის მცირეოდენი პირველი ნაბიჯი, რომელიც შეგიძლია დამოუკიდებლობისაკენ გადადგა“.

— თორნიკე, როგორ უთავსებთ ერთმანეთს სწავლასა და განათლებას?

— მეტ-ნაკლებად შეთავსებული მაქვს სწავლისა და მუშაობის პროცესი. ერთი კვირის განმავლობაში ერთ, ხან ორ დღესაც ვაცდენ უნივერსიტეტში მეცადინეობას. თვის მანძილზე, მაქსიმუმ რვა სამეცადინო დღეს ვერ ვესწრები.

— გრძნობთ თუ არა მხარდაჭერას უნივერსიტეტის მხრიდან?

— მეტ-ნაკლებად ვგრძნობ, თუმცაღა ჩემი არ ყოფნა „არების“ სახით მაინც ფიქსირდება. ლექტორები არც თუ ისე ლოიალურნი არიან ასეთი პროცესის მიმართ. ის, რომ სამუშაოდ ვარ, ამის გამო, შეღავათს არავინ მიწევს.

— რამდენად აისახება თქვენი საქმიანობა თქვენს აკადემიურ მოსწრებაზე?

— მუშაობის პროცესში მაქსიმალური მონდომების ხარჯზე, შეგიძლია მიაღწიო კარგ აკადემიურ მოსწრებას, თუმცა სამუშაო საქმიანობა მაინც აისახება აკადემიურ მოსწრებაზე.

— გრჩებათ თუ არა დრო გართობისთვის?

— დრო მრჩება გართობისთვისაც, თუმცა აქტიური დიდად არ ვარ. სტუდენტურ ცხოვრებას აქვს განტვირთვის გზებიც.

— რას ურჩევთ პირველკურსელებს ან მათ, ვინც ჯერ არ მუშაობს?

— ვურჩევ დაკავდნენ სტუდენტური საქმიანობით. არის დაწესებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტებს, ქმნიან სტუდენტთა დასაქმების პროგრამებს, თუმცაღა საქართველოში იშვიათია მსგავსი პროგრამები. მათ არავითარ შემთხვევაში რისკის ქვეშ არ უნდა დააყენონ თავიანთი სტუდენტობა. კარგია სამუშაო, მაგრამ უპირველესი საქმიანობა სწავლაა, ამიტომაც გვაქვს სტუდენტის სტატუსი.

ერთია სტუდენტურ პერიოდში მუშაობა და მეორე სამუშაო ადგილის გამონახვა. ბევრი სტუდენტის სურვილია სამუშაოს დაწყება, თუმცა იმის გამო, რომ ის დღის პირველ ნახევარში დაკავებულია, დამსაქმებლები უარს აცხადებენ სტუდენტების დასაქმებაზე. ეს ძირითადად მაღაზიებს, მარკეტებს ეხება, სადაც მტკიცე უარს აცხადებენ, ხოლო უფრო დიდ დაწესებულებებში, იქ, სადაც მუშაობის 24-საათიანი რეჟიმია, სტუდენტს ეძლევა საშუალება იმუშაოს ღამის ცვლაში.

უკვე რამდენიმე წელია ქ.ბათუმის მერია ერთთვიან საზაფხულო სამუშაო პროგრამას ახორციელებს. სტუდენტს შეუძლია არდადეგების პერიოდში იმუშაოს და აიღოს სტუდენტისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა. გასულ წელს არსებობდა საშიშროება, რომ ეს პროგრამა აღარ განხორციელდებოდა თუმცა სტუდენტთა აქტიური მოთხოვნის გამო, ისევ ამოქმედდა და სხვადასხვა დაწესებულებაში დასაქმდა 200-მდე სტუდენტი. ამ საკითხთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ქ. ბათუმის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს, ქალბატონ **ია შალამბერიძეს**:

— ქალბატონო ია, შეზღუდულია თუ არა ვაკანსიათა რაოდენობა არსებულ პროგრამაზე?

— დიახ, შეზღუდულია. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ბათუმში მცხოვრებ სტუდენტებს. კომისიური გადაწყვეტილებით პრიორიტეტი მიენიჭებათ მათ, ვინც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სოციალურად დაუცველი; ბ) მრავალშვილიანი ოჯახიდან (ოთხი ან მეტი შვილი); გ) მზრუნველობამოკლებული (დედით ან მამით ობოლი) სტუდენტები; დ) შშმ სტატუსის მქონე სტუდენტები; ე) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ან გარდაცვლილად გამოცხადებულის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი; ვ) სტუდენტები, რომლებიც აქტიურ მოხალისეებად იყვნენ ჩართულნი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ პროგრამებში (ეკოლოგიის, გამწვანების, გაწმენდით სამუშაოებში ან სხვა აქტივობებში). პროგრამის ფარგლებში, ერთი თვის განმავლობაში დასაქმდება 200 სტუდენტი. თითოეული დასაქმებული სტუდენტის მიერ გაწეული შრომა ანაზღაურდება 400 ლარის ოდენობით, საშემოსავლო ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

მიმდინარე წლის ივნისიდან იწყება დოკუმენტების მიღება. 200 სტუდენტი ივლის-აგვისტოში დასაქმდება.

— რამდენად აქტიურნი არიან სტუდენტები პროგრამის მისამართით?

— რა თქმა უნდა, აქტიურობენ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების მოსაზრება, თუ რა მიმართულებით სურთ დასაქმდნენ. შევხვდით მათ და ვთხოვეთ თავიანთი ხედვები წარმოედგინათ. საერთოდ, ეს არის კრიტიკის საგანი, ზოგს მოსწონს, ზოგსა — არა. წინა წელს ეს პროგრამა ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ სტუდენტთა აქტიური მოთხოვნის გამო, კვლავაც ჩაისვა პროგრამაში.

თეონა მახარაძე,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

„ერთმანეთს ხშირად უნდა გავუღიმოთ“

სტუდენტ მაკა მოქიას ერთი დღე

მაკა მოქია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის IV კურსის სტუდენტია. იგი ზღვისპირა ქალაქში განათლების მისაღებად გურიიდან ჩამოვიდა. მომავალი იურისტი იხსენებს, რომ ლექციაზე არასოდეს დაგვიანებია. ოპერატიული სტუდენტი სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში გეგმავს.

მაკა ყოველ ახალ დილას მუსიკის მოსმენით იწყებს, რათა მთელი დღის განმავლობაში დადებითი განწყობა შეიქმნას. იხსენებს, რომ სკოლაში სწავლის დროს, ყოველთვის დედა აღვიძებდა, მაგრამ ახლა, როცა დედა შორსაა, ეს ფუნქცია მაღვიძარას დაეკისრა. „გაღვიძებისთანავე ვრთავ მუსიკას და მივდივარ ფანჯარასთან, ვაღებ მას და ვიხედები მაღლა, რათა გავიგო, როგორ გრძნობს დედამიწა თავს. დილა ჩემთვის მთელი დღის გზამკვლევია, მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ სოფელში ცა უფრო ლამაზია. მიუხედავად იმისა, რომ დროს ძალიან ვუფრთხილდები, უნივერსიტეტამდე ყოველთვის ფეხით მივდივარ. ჩემთვის ძალიან საინტერესოა „ქუჩის ფსიქოლოგია“, როცა ყველას თავისი გზა აქვს, ზოგიერთი საქმიანი სახით და პირიქით, ზოგიც დილიდანვე არყის ბოთლით ხელში, ბავშვები და დედები, ბებიები და ბაბუები, ზარის ხმა და პირველი გაკვეთილი. ამ დროს ხვდები, რომ მოძრაობა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია“. მაკა ვერ იხსენებს შემთხვევას, რომ უნივერსიტეტში დაეგვიანებინოს. ჩვეულებრივ, ათი წუთით ადრე მიდის, რათა მოემზადოს ლექციისთვის. თუ საყვარელი საგანი და ლექტორი ელოდება, ცდილობს უფრო ადრე მივიდეს, რათა წინა რიგში დაჯდეს. „როდესაც აუდიტორიას ვუახლოვდები, ყოველთვის ვცდილობ გაღიმებული შევიდე, რადგან ჩემი დაღლილობა ან მცირე უხასიათობა (რაც იშვიათია) სხვებს თავს არ მოვახვიო. ერთმანეთს ხშირად უნდა გავუღიმოთ, რადგან ღიმილი უფრო მეტად აახლოებს ადამიანებს და ათბობს მათ, მართლაც ხომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“. როგორც წესი, ლექციებს შორის არ რჩება იმდენი დრო, რომ მოისვენო, რადგან ხშირად მთელი ათი წუთი აუდიტორიიდან აუდიტორიაში შესვლას ჭირდება. „ცოდვა გამხელილი სჯობსო, ხოდა მეც ვიტყვი, რომ ყველაზე მეტად რაც მიჭირს, ეს არის გაჩერება ბოლო ლექციაზე (იცინის). ეს გამოწვეულია ალბათ იმითაც, რომ ვიცი ბოლო ლექციის შემდეგ აუცილებლად ელვის სისწრაფით უნდა გავიქცე სამსახურში (მაკა ერთ-ერთი სასტუმროს საქმისმწარმოებელია) და სტუდენტი მაკა მოქია სრულიად უნდა გარდაისახოს, გაღიმებული და დაუღლელი სახით შეხვდეს მოსულ სტუმრებს ან გააცილოს ისინი“.

ამბობს, რომ სამსახურში მეცადინეობას თითქმის ვერ ახერხებს, ამიტომ, სახლში სამსახურიდან დაბრუნებულს, ხშირად ღამეც კი გაუთენებია, რადგან მეორე დღეს მოუმზადებული არ წასულიყო უნივერსიტეტში. „სახლში საღამოს ათი საათის შემდეგ ვბრუნდები. პირველი რიგში ფინჯან ყავას მივირთმევ და 15 წუთი ვზივარ სიჩუმეში, რათა ენერგია მოვიკრიბო. აუცილებლად ვფიქრობ იმაზეც, რამდენად ნაყოფიერი დღე მქონდა და ხშირად აღმომიჩენია, რომ ბევრი რამ დამვიწყებია, მაგრამ როგორც წესი, შეცდომების გამოსწორება ძალიან მიყვარს, რადგან ეს ჩემთვის სტიმულია და თანაც ვფიქრობ, რომ უშეცდომო ადამიანი არ არსებობს განურჩევლად ასაკისა, რადგან ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე სწავლობს. ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია“

მაკას მიაჩნია, ადამიანმა დროის რესურსი სწორად და გონივრულად უნდა გამოიყენოს. „ვცდილობ ყოველი დღე გონივრულად დავგეგმო, რადგან დრო ის რესურსია, რომელიც ყოველთვის შეზღუდული მაქვს“. მაკამ სულ ახლახანს თავისთვის საინტერესო: „ამ ბოლო დროს გამიტაცა ინგლისელი მწერლების ინგლისურენოვანმა წიგნებმა“. კითხვაზე — ყველაზე ლამაზი და დასამახსოვრებელი დღე აქამდე უნივერსიტეტში რომელიც გქონია, გვიპასუხა, რომ სტუდენტისთვის ყოველი დღე უნივერსიტეტში არსობრივია: „ყოველი ახალი დღე თავისი არსით ძალზედ საინტერესოა უნივერსიტეტში, თუმცა არ შემიძლია არ გავიხსენო ის განსაკუთრებული დღეები, როდესაც პროფესიონალ და ორატორული ნიჭით დაჯილდოვებულ ლექტორებთან მქონდა შეხვედრები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბატონი ოთარ გოგოლიშვილი, ქალბატონი ლალი ზაქარაძე და სხვები. არ შემიძლია განსაკუთრებით არ ვახსენო ერთ-ერთი გამორჩეული, წარმატებული და ძალიან საყვარელი ლექტორი, ქალბატონი ვიოლეტა ფორჩხიძე, რომელიც ვალდებულებით სამართალს გვასწავლიდა. იგი თავისი პროფესიონალიზმით, ორატორული ნიჭით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით სტუდენტებს მისდამი სიყვარულით განაწყობს. ჩემი ურთიერთობა მასთან მეორე კურსიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. არასდროს დამავიწყდება მის ლექციებზე სმენადქცეული დარბაზი და სავსე აუდიტორიები. სწორედ ასეთი ლექტორები გვაძლევენ ძალას და იმედს იმისას, რომ ჩვენი ცოდნით სამყაროს შევცვლით უკეთესობისაკენ“.

IV კურის სტუდენტი სირთულეების შესახებაც საუბრობს, თუმცა ის ამბობს, რომ მიზანდასახული ადამიანისათვის შეუძლებელი არაფერია. „იყო აქტიური სტუდენტი, ძალიან რთულია, მას დიდი ენერგია, დრო და ძალისხმევა სჭირდება, თუმცა შეუძლებელი არაფერია. განვლილი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან ჩემი მიღწევა არა მხოლოდ პროფესიული ზრდა გახლავთ, არამედ ის ღირებული ურთიერთობებიც, რომლებიც წლების განმავლობაში მიყალიბდებოდა სტუდენტებთან და ლექტორებთან». საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისთვის — ეს არის გზა ჭეშმარიტებისაკენ. მაკა სამომავლოდ მაგისტრატურაში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

ლია გოლქვაძე,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

ჩანართი

8 მარტის მნიშვნელობა

ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის აღნიშვნის იდეა თავდაპირველად მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიბადა. ეს დღე გავლენიანი გერმანელი სოციალისტის, კლარა ცეტკინის ინიციატივით დაფუძნდა. მას შემდეგ 8 მარტი ოფიციალურ დღესასწაულად და უქმე დღედ რჩება.

ამ დღესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბატონმა მამია ფაღავამ გამოხატა თავისი მოსაზრება: „მისასალმებელია ამ დღის არსებობა, ვინაიდან ქალებს მძიმე ტვირთის ტარება უწევთ ცხოვრებაში, ამიტომაც ისინი იმსახურებენ ერთი კონკრეტული დღე არსებობდეს მათთვის. ყველა დღე ხომ ქალისაა, მაგრამ ერთი გამორჩეული დღის დაწესებით, რომელიც მიეძღვნება მთლიანად ქალს, კიდევ ერთხელ აღინიშნება მისი როლი საზოგადოებაში“.

თეონა გადელაია

ბატონი მამიას აზრით, ამით განსაკუთრებულ პატივისცემას გამოვხატავთ იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც ჩვენს ცხოვრებაში აქვთ დიდი დატვირთვა: „გავულამაზოთ ქალებს ის ერთი დღე, რომელიც მთლიანად მათ ეძღვნება“.

ქალთა დღესთან დაკავშირებით საინტერესოა გამორჩეული ქალბატონის, პროფესორ თინა შიოშვილის ხედვა: „ჩემთვის პირადად, როგორც ყველა ქალისთვის, ეს დღე ერთ-ერთი ლამაზი და გამორჩეულია. სასიამოვნოა, როცა გირეკავენ, გილოცავენ, საყვარელი ადამიანი მოდის და ყვავილებს გჩუქნის. ყველა ქალმა იცის თავისი როლი, თუმცა ეს ერთი კონკრეტული დღე არის კიდევ ერთხელ წარმოჩინება ქალისა“, — ამბობს ქალბატონო თინა.

სტუდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ 8 მარტი მნიშვნელოვანი დღეა. ამიტომ მისი განსაკუთრებულად აღნიშვნა აუცილებელია. ზოგი მათგანი ამ დღეს საყვარელ ადამიანთან ერთად აღნიშ-

მამია ფაღავა

ნავს, ზოგიც მეგობრებთან ერთად, ზოგიც ოჯახთან. „კარგია როცა ყურადღების ეპიცენტრში ხარ და იცი, რომ ეს ერთი დღე მთლიანად შენ გეკუთვნის, მე და ჩემი მეგობრები ერთად აღვნიშნავთ ქალთა დღეს და ამ დღისგან დიდ სიამოვნებას ველოდებით“, — ამბობს თეონა გადელია, რომელიც ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტია.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველი კურსის

თინა შიოშვილი

სტუდენტი ირაკლი გორგოშაძე ფიქრობს, რომ აუცილებელია მსგავსი დღეების არსებობა, რათა ლამაზი სქესის წარმომადგენლები კიდევ უფრო მეტად დაფასდნენ. „როგორც ყველა მამაკაცი, მეც ამ დღეს თბილად ჩემს საყვარელ ქალებს: დედას, დას და საყვარელ ადამიანს, ვცდილობ მცირედი საჩუქრით მაინც გავუხარო გული. ჩემი აზრით, ეს მცირედი ყუ-

ირაკლი გორგოშაძე

რადღება ყველა ქალისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია“, — ამბობს ირაკლი.

ამრიგად, ამ ფერადმა დღემ, დღესასწაულის სახე მიიღო. გაზაფხულის მახარობელი ყვავილები ამ დღის მთავარი სიმბოლური საჩუქარია.

ყოველი ახალი 8 მარტის გათენებას, ქალთა ცხოვრებაში მეტი ხალისი შეაქვს.

მარიკა გამახარია,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

ანსამბლი „ტბეთი“

ცნობილმა ქართველმა ქორეოგრაფმა, პედაგოგმა და ქართული ტანვარჯიშის ფუძემდებელმა დავით ჯავრიშვილმა 30-იან წლებში, აჭარაში მოღვაწეობის პერიოდში, ქალაქ ბათუმის მაშინდელ პედაგოგიურ სასწავლებელში შეარჩია რამდენიმე სტუდენტი და დაიწყო ცეკვა „ხორუმის“ სწავლება. 1950 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინტიტუტში, ცნობილი ქორეოგრაფის, ალექსანდრე ჯიჯეიშვილის მიერ ჩამოყალიბდა ცეკვის ანსაბლი. ანსამბლის წამყვან ბირთვს შეადგენდნენ ნიჭიერი მოცეკვავეები: ჯუმბერ ლომთაძე, ნოდარ და ნიაზ დევაძეები, თამაზ ბეჟანიძე და სხვ.

1963-1965 წლებში ანსამბლს ხელმძღვანელობდა რევაზ ჭანიშვილი. ანსამბლი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევდა ოლიმპიადებში, ფესტივალებსა და კონკურსებში.

ანსამბლის სახელწოდება „ტბეთი“ უკავშირდება ზემო აჭარაში მდებარე სოფლის სახელწოდებას და ასევე დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ტაძრის სახელწოდებას.

როგორც ანსამბლის დღევანდელი ხელმძღვანელი ზურა სვანაძე აცხადებს, „ტბეთი“ აგრძელებს წარმატებულ მოღვაწეობას, რაშიც მას ხელს უწყობს უნივერსიტეტი. ისინი მიწვეულნი იყვნენ რუმინეთის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც წილად ხვდათ მეორე საპრიზო ადგილი. მოცეკვავეთა ანსამბლი ხშირად ღებულობს მონაწილეობას როგორც უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში, ასევე სხვადასხვა აქტივობაში. „ტბეთი“ 80 წელს ითვლის, რაც ხელმძღვანელის თქმით, წარმატების მაჩვენებელია.

ანსამბლში ახალბედებს იღებენ ცეკვის მინიმალური დონის შეფასებით. ქორეოგრაფი თითოეულ სტუდენტსა თუ მომავალ სტუდენტს აძლევს შანს შეისწავლოს ცეკვა და გზა გაიკვალოს მომავალი წარმატებისკენ, რაც უკვე მათ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

ანსამბლის ხელმძღვანელი ერთგვარ პოპულარიზაციას უწევს უნივერსიტეტს იმ მხრივ, რომ მათ ჯგუფებში ღებულობს მოცეკვავეთა იმ ნაწილს, ვინც ემზადება სამომავლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების დასაწყებად.

ანსამბლში ფუნქციონირებს ორი საცეკვაო ჯგუფი: ერთია პროფესიონალ მოცეკვავეთა ჯგუფი და მეორე — მოსამზადებელ მოცეკვავეთა ჯგუფი. აქ მოღვაწეობა სტუდენტური ცხოვრების დასრულების შემდეგ პიროვნულ ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ქორეოგრაფის თქმით, ისინი ეხმარებიან ნიჭიერ მოცეკვავეებს საქართველოში არსებულ პროფესიონალურ ანსაბლში მოღვაწეობის გასაგრძელებლად, სადაც შეუძლიათ კარიერულ წინსვლას მიაღწიონ.

მომავალი წლისათვის ანსამბლი „ტბეთი“ ემზადება საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად.

მარიკა დევაძე,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

21 მარტი — ქართული ჟურნალისტიკის დღე

1993 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღედ ერთობლივად დააწესეს, რაც ამავდროულად უკავშირდება საქართველოში პირველი ქართული გაზეთის დაარსებას.

ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების, ათასფეროვანი მოვლენისა და ფაქტის ამსახველი თანამედროვე მატიანეა, თუმცა არა მარტო უბრალო ამსახველი, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზეგავლენის მომხდენი. ჟურნალისტობა უმაღლეს კვალიფიკაციასთან, მრავალმხრივ ცოდნასთან, გამოცდილებასა და უსაზღვრო მოთმინებასთან ერთად, უზარმაზარ ყოველდღიურ შრომას მოითხოვს.

საინტერესოა, როგორ ხედავენ მომავლის ჟურნალისტიკას ჩვენი თანაქალაქელი პრაქტიკოსი ჟურნალისტები.

რადიო „აჭარის“-ს მენეჯერმა, გიორგი მოისწრაფიშვილმა საუბარი რადიოს დაარსებით დაიწყო, რომელიც 83 წელს ითვლის. მის არქივებში ინახება უამრავი ღირებული მასალა, მათ შორის ცნობილი ქართველი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის ხმა, რომელიც შემდეგ 33ა-მ გამოიყენა თავის სიმღერაში.

ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ რადიო „აჭარა“ ინტენსიურად მუშაობს და მათ არ აქვთ განსაზღვრული სამუშაო საათები. მენეჯერის აზრით, „ჟურნალისტიკა არის ერთ-ერთი გამორჩეული პროფესია, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. ვიზიარებ მოსაზრებას, რომ სამ ხელისუფლებასთან ერთად: სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი — მეოთხე ხელისუფლებად გვევლინება — ჟურნალისტიკა“.

რადიოში ქართული ჟურნალისტიკის დღეს სპეციალური გადაცემაც კი მიუძღვნეს. ბატონი გიორგი მოისწრაფიშვილი რადიოს უსურვებს უფრო მეტ და ერთგულ მსმენელს.

ოდითგანვე საზოგადოების ინფორმირებულობაში გაზეთის როლი განუზომელია. საინტერესოა გაზეთ „აჭარის“ რედაქტორის, ქალბატონ მარინა მითაიშვილის დამოკიდებულება ჟურნალისტის პროფესიაზე.

გაზეთი „აჭარა“ 95 წლისაა. იგი დაარსებიდან დღემდე სხვადასხვა სახელს ატარებდა: „ფუხარა“, „ბრძოლა“, „საბჭოთა აჭარისტანი“, „საბჭოთა აჭარა“ და ბოლოს „აჭარა“.

„ჟურნალისტიკა, ეს ურთულესი პროფესიაა სხვადასხვა პროფესიათა შორის. ჟურნალისტს მრავალმხრივი ცოდნა მოეთხოვება, უნდა იცოდეს როგორ მოიპოვოს ინფორმაცია, იყოს თამამი და მიზანდასახული. როცა ჟურნალისტს კარს უკეტავენ, ფანჯრიდან გადადის. ასევე ის უნდა იყოს კომუნიკაბელური, გააჩნდეს წერის უნარი და ამვდროულად, სულიერად, შინაგანად — ძლიერი უნდა იყოს“, — ამბობს ქალბატონი მარინა.

ქალბატონ მარინას იმედი აქვს, რომ გაზეთი „აჭარა“ სამომავლოდ რეგიონს გასცდება და მის ფარგლებს გარეთაც გაიყიდება.

თავისი შეხედულება გაგვიზიარა აჭარის ტევიზიის ჟურნალისტმა, ქალბატონმა ჯენი კვანტალიანმა.

მისი ჟურნალისტური კარიერა დაიწყო ჯერ კიდევ სკოლის ასაკში. თავდაპირველად სტატიების ბეჭდვა დაიწყო გაზეთ „P.S“-ში. ეს იყო ერთ-ერთი დარგობრივი გაზეთი, სადაც იბეჭდებოდა მისი სტატიები.

სტუდენტური ცხოვრების დაწყების შემდეგ იწყება მისი, როგორც რადიოს ჟურნალისტისა და წამყვანის კარიერა. ოთხი წელი იმუშავა ქუთაისის ერთ-ერთ ტელევიზიაში როგორც ჟურნალისტად, ასევე წამყვანად. ამავდროულად პარალელურ რეჟიმში მუშაობდა პოლიტიკურ გაზეთში „ქუთაისური ვერსია“. თანამშრომლობდა გაზეთ „ჩვენებურობთან“.

ქალბატონი ჯენი სამი წელია აჭარის ტელევიზიაში მუშაობს. მისი ძირითადი მოვალეობა დღის მნიშვნელოვანი ამბების გაშუქებაა.

ის თვლის, რომ ჟურნალისტი უნდა იყოს კომუნიკაბელური და თუ მას ეს თვისება არ გააჩნია, მისთვის ძნელი იქნება სამუშაო პროცესი. ეს თვისება ეხმარება მას, მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. ჟურნალისტს პიროვნული თვისებები უწყობს ხელს მოპოვებული მასალის ეფექტურობაში., აუცილებლად უნდა იყოს ობიექტური არ ჩამორჩეს სიახლეებს როგორც რეგიონის, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. სავალდებულოა რეპორტიორი იყოს ოპერატიული, რადგან როგორი აქცენტებითაც არ უნდა იყოს მასალა დაწერილი, დაგვიანებული ინფორმაცია უკვე მოძველებული და უინტერესეოა.

ქალბატონ ჯენის აზრით, ჟურნალისტიკის უპირატესობა ის არის, რომ მედიის მუშაკები მუდამ საქმის კურსში არიან და აქვთ იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე სხვა პროფესიის წარმომადგენლებს. ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით აჭარის ტელევიზიაში მომზადდა სპეციალური გადაცემა და ამ პროგრამაში ჩართულია რეგიონის ყველა ჟურნალისტი, მედიასაშუალების წარმომადგენლები.

როგორც აღმოჩნდა, „თXI“-ის მძღოლები რადიოს, გაზეთისა და ტელევიზიის ყველაზე აქტიური მსმენელი, მკითხველი და მაყურებელია. შეიძლება ითქვას, რომ მათი როლის ზუსტი გამმიჯვნელები არიან. სწორედ ამიტომაც დავინტერესდით მათი აზრით. გამოკითხვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მედია საშუალებები მათი ერთგვარი თანამგზავრია. ისინი საუბრობენ მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, თუმცა აფასებენ ჟურნალისტების შრომას. ამიტომ ისინი ულოცავენ სრულიად საქართველოს ჟურნალისტებს ქართული ჟურნალისტიკის დღეს. უსურვებენ წარმატებებსა და წინსვლას კარიერაში.

... და ბოლოს, ძნელია გულგრილი იყო, როცა საქმე ჟურნალისტიკას ეხება.

მარიამ ზარნაძე,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

ჩანართი

სტუდენტები სტუდენტთა საერთო საცხოვრებლიდან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი მწვანე კონცხზე მდებარეობს. შენობაში, რომელიც 200 პერსონაზეა გათვლილი, ამჟამად მხოლოდ 50 სტუდენტი ცხოვრობს. უნივერსიტეტი სტუდენტთა გადაყვანას საერთო საცხოვრებლიდან სასწავლო კორპუსებამდე, ტრანსპორტით უზრუნველყოფს.

ჩვენი, როგორც სტუდენტების — სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სტუმრობის მიზანი, ჩვენივე თანატოლების იქაური ცხოვრების პირობების ნახვა გახლდათ.

თათია გოჩიტაშვილი, სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი:

„მეორე წელია, რაც აქ ვცხოვრობ.. შარშან ჩავაბარე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საცხოვრებელი პირობები საკმაოდ კომფორტული და სტუდენტზე მორგებულია. თბილისიდან ჩამოვედი და აქ ცხოვრების განმავლობაში ვიგრძენი, რომ ვარ ის სტუდენტი, რომელიც ყველასგან დამოუკიდებლად ცხოვრობს. 15 ლარი მართლაც მინიმალური თანხაა საერთო საცხოვრებლისთვის და რაც მთავარია, მასში კომუნალური გადასახადებიც შედის. ტრანსპორტირებას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს – დილის 9-ის ნახევარზე გადის მიკროავტობუსი და საღამოს 6–ზე ბრუნდება“.

რაც შეეხება სწავლისთვის აუცილებელ პირობებს, თათია აღნიშნავს, რომ „ოთახი, რომელიც ორ ადამიანზეა გათვლილი, ძალიან მყუდროა. საცხოვრებელი მთლიანად იზოლირებულია ქალაქის ხმაურისგან და იდეალური ადგილია მეცადინეობისათვის. კორპუსი მცენარეებითაა გარშემორტყმული და განსაკუთრებით ლამაზია გაზაფხულობით. ამასთან, საკმაოდ ახლოს მდებარეობს სანაპირო ზოლთან და ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან, რომელიც ქალაქის ერთ–ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა“.

მიუხედავად ჰარმონიული გარემოს, სიმშვიდისა და მყუდროებისა, მათი მთავარი პრობლემა, თათიას თქმით, მაინც საცხოვრებლის ლოკაცია – ქალაქიდან შორს მდებარეობაა. „გარდა ამისა, სტუდენტებს არ აქვთ ამომწურავი ინ-

ფორმაცია აქ არსებულ პირობებსა და შეღავათებზე, ამიტომ კარგი იქნება თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფრო ნათლად აუხსნის პირველკურსელებს საერთო საცხოვრებლის უპირატესობას და განათავსებს შესაბამის ინფორმაციას თვალსაჩინო ადგილას“.

რუსუდან ქარცივაძე, ისტორიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი:

„პირველი კურსიდან აქ ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან მომწონს პირობები. მიკვირს სტუდენტების, რომლებიც ქალაქში ქირაობენ ბინას და იხდიან 200–300 ლარს მაშინ, როცა აქ ცხოვრების შესაძლებლობა აქვთ. ქალაქში ხმაურია, რაც სწავლისას არაკომფორტულია, საერთო საცხოვრებელზე კი ამას ნამდვილად ვერ იტყვი.

არაერთი სტუდენტი სწორედ იმიტომ ირჩევს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ მინიმალურ ფასად უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებელი ფართით“.

რუსუდანი გურიიდანაა ჩამოსული. მან საერთო საცხოვრებლის შესახებ ბათუმში მცხოვრები ნათესავებისგან გაიგო. ჩვენთან საუბრისას კი განაცხადა: „თუ გსურს სტუდენტური ცხოვრების სრულყოფილად გაგება, აუცილებლად უნდა იცხოვრო აქ“.

თავისუფალ დროს სტუდენტებს შეუძლიათ მაგიდის ჩოგბურთის თამაშით გაერთონ, უყურონ ტელევიზორს, ისარგებლონ ინტერნეტით. მათი თხოვნის საფუძველზე დაამატეს ტუმბოები და იგეგმება ტრენაჟორების ჩამოტანაც. პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში სტუდენტები მიმართავენ კანცლერს. როგორც ისინი აღნიშნავენ, ბატონი ჯემალ ანანიძე ყოველთვის მზადაა დაეხმაროს მათ.

გოგიტა შაინიძე, გეოგრაფიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი:

„ოთხი წელია აქ ვარ. როცა მოვედი, ოთახში მხოლოდ საწოლები იდგა. მიუხედავად ამისა, ფასის გამო მაინც ღირდა აქ ცხოვრება. შემდეგ უკვე სტუდენტების თხოვნით და კანცლერის დახმარებით, ტელევიზორი და სარეცხი მანქანა მოგვიტანეს. თანდათან დაიწყო ინტერიერის გაუმჯობესებაც. თავდაპირველად წყალი ლიმიტით მოგვეწოდებოდა – კვირაში მხოლოდ 2–ჯერ. ამჟამად ეს პრობლემა აღარ გვაქვს. რაც შეეხება გარემოს, როგორ შეიძლება არ მომწონდეს, თუნდაც ჩემი პროფესიიდან გამომდინარე“.

თუმცა, ამავდროულად გოგიტა წუხს, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ქალაქთან მოშორებით მდებარეობს. სამწუხაროდ, აქ არცთუ ხშირად მოძრაობს ტრანსპორტი. მან ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი რამ გვითხრა: „ავტობუსი ორმოც წუთში ერთხელ დადის და ყვითელი ფერი რომ გამოჩნდება, ჩვენთვის ისეთივეა, გვირაბის ბოლოს რომ სინათლე დაინახო“.

აქ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ სტუდენტებს – დასაქმებულებს ზაფხულის განმავლობაში დარჩენაც კი შეუძლიათ. ისინი აღნიშნავენ, რომ საცხოვრებელში ყველანაირი პირობაა შექმნილი მათთვის და რაც მთავარია, აქვთ შესაძლებლობა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი — სტუდენტობის ხანა ოჯახურ გარემოში გაატარონ.

ნინო მოქია,
დარიკო შენგელია,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტები

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტები უნივერსიტეტიდან

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ბევრი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა სწავლობს, რომლებიც საკმაოდ წარმატებულნი და აქტიურნი არიან. ამ მრავალთაგან ერთ-ერთი სტუდენტი გურამ ღორღაძეა, რომელიც წერს ლექსებს, ასევე აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის თეატრალურ ცხოვრებაში. გურამმა ლექსების წერა 7-8 წლის ასაკში დაიწყო. მისი საყვარელი პოეტი ნიკო გომელაურია.

მან ცონალდ'ს დაფინანსებით გამოსცა ლექსების კრებული. 500 ტირაჟიდან 250 გაყიდა, 250 კი გააჩუქა.

გურამი მონაწილეობს ლიტერატურულ საღამოებში და თავის ლექსებს აცნობს საზოგადოებას.

„მინდა იყო ადამიანი“, — არის ლექსი, რომელიც გურამისთვის მისი შემოქმედებიდან ყველაზე გამორჩეულია.

სამომავლოდ ის აპირებს უფრო მეტ შემოქმედებით აქტიურობას. გეგმავს ლექსების მეორე კრებულის გამოცემას.

მომავლის იმედი

ვიცი ხვალ ისევ დაიწყება
დრო მოლოდინის,
ეს მოლოდინი, ალბათ ცოტა
ფიქრებს მიმატებს,
მე დროის მჯერა ფუჭ
სიტყვებით არასდროს ვამბობ
მე თქვენი მჯერა და იმ სხივის
ხვალ რომ ინათებს.
დღეს არ იდარდოთ მომავალი
კიდევ წინაა,
ტკივილის ფურცლებს ნუ
გადაშლით თქვენი წიგნიდან,
იფიქრეთ კარგზე ღმერთის
გწამდეთ და დაელოდეთ
ის მოვა მჯერა,
ჰაერიდან, წყლიდან, მიწიდან.

გურამ ღონღაძე



ბიძინა გალაძე

ლია გოგაძე

გურამ ღონღაძე

ნუკრი იაკობიძე

ისტორიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტმა ლია გოგაძემ პირველი ლექსი მეხუთე კლასში დაწერა. მისი შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია. ლიას საყვარელი პოეტი გალაქტიონ ტაბიძეა, რომლის შემოქმედებიდან „მერის“ და „მესაფლავეს“ გამოარჩევს. მომავალი ისტორიკოსი სამომავლოდ საკუთარი ლექსების კრებულის გამოცემას აპირებს. ლია სხვადასხვა ღონისძიების მონაწილეა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ბიძინა ბალაძე კი სიმღერითაა დაკავებული. ის მუშაობს ბათუმის მერიის კულტურის ცენტრში, მღერის ვაჟთა ვოკალურ ანსამბლში, ასევე გალობს თამარ მეფის სახელობის ეკლესიაში. რამინ მიქაბერიძის, ქართველი სასიმღერო ხელოვნების წარმომადგენლის დამსახურებით (რომელიც ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელი და სატელევიზიო პროექტ „იმედის გმირების“ მონაწილეა), 8 წლის ასაკში დაიწყო სიმღერა. ბიძინა გრამპრის და მრავალი სიგელის მფლობელია. უნივერსიტეტის დაფინანსებით იგი იმყოფებოდა ბელორუსიაში, ფესტივალზე სახელწოდებით — „мы вместе“, რომლის თემატიკა ხალხური ტრადიციული სიმღერები იყო. სადაც გაიმარჯვა, სამშობლოში კი გრამპრით დაბრუნდა. გამარჯვებული ბიძინა სამშობლოში გრამპრით დაბრუნდა.

ჩვენი უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი თამუნა სურმანიძე სიმღერითაა დაკავებული. იგი პარალელურად სწავლობს კონსერვატორიაში, არის როკ-ოპერის თეატრის კაპელის მომღერალი, ასევე უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარე. თამუნამ მუსიკალური განათლება ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო 11 წლედში მიიღო. ძირითადად კლასიკურ ოპერას ასრულებს კონსერვატორიაში, ხოლო როკ-ოპერის თეატრში, როგორც როკს, ასევე საესტრადო სიმღერას. მონაწილეობა მიიღო მარიბელას კონკურსში. სამომავლოდ კი მის გეგმებში შედის უცხოეთში მუსიკალური განათლების მიღება.

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტები — დები — სოფო და თეა გულაბერიძეები ხატვის ნიჭით გამოირჩევიან. სოფოს გამორჩეული მხატვარი გახლავთ მიქელანჯელო, რომლის შემოქმედებიდან გამოარჩევდა სიქსტის კაპელას. ხატვა დაიწყო მეოთხე კლასში. ძირითადად ხატავს პორტრეტებს, როგორც თვითონ აღნიშნა, თვითნასწავლი მხატვარია. თეა პორტრეტებსა და პეიზაჟებს ხატავს. დები გულაბერიძეების ხატვის სტილი ერთნაირია. სოფო და თეა სხვადასხვა სამხატვრო კონკურსის მონაწილენი და გამარჯვებულნი არიან. ერთ-ერთი გახლდათ რომპეტროლის წამახალისებელი აქცია, რომელიც 2009 წელს ბათუმის პარკში მოყვარულთათვის ჩატარდა ზაალ სულაკაურის ხელმძღვანელობით, კონკურსის სახელწოდება იყო „მეოცნებე მხატვარი“, სადაც ზაალის პორტრეტის დახატვისთვის სოფომ მიიღო სიგელი. დები გულაბერიძეები მონაწილეობდნენ სასტუმრო „შერატონთან“ გამართულ გამოფენაში, რომლის სახელწოდება იყო „ხელოვანთა კლუბი“.

ამავე უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი გახლავთ ნუკრი იაკობაძე, რომელიც მესამე კურსიდან ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე არქიტექტურის შესწავლასაც ეუფლება. ის ბათუმის მერიის ტურიზმის დეპარტამენტში არის ტურიზმის სპეციალისტი. ხატვის სიყვარული ბავშვობაში დედამ ჩაუნერგა. ხატავს პორტრეტებს, ასევე გრაფიკულ ნახატებს. მისი გამორჩეული მხატვარი არის დავინჩი, რომლის შემოქმედებიდან გამოარჩევს მონა ლიზას. ნუკრი მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსში, რამაც მას წარმატება არაერთხელ მოუტანა.

შოთა რუსთველის უნივერსიტეტის მრავალი სტუდენტი სხვადასხვა შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოებული. თითოეული მათგანი ინდივიდუალიზმითა და შემოქმედების თავისებური სტილით გამოირჩევა. დამწყები ხელოვანი ახალგაზრდობა აქტიურად ცდილობს შემოქმედებითი ნიჭის სრულყოფას და ფართო მასებისთვის გაცნობას.

მანანა დევაძე,
მარიამ ზარნაძე,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტი“ სტუდენტები

ჩანართი

პორტრეტი

ინტერვიუ ფილოლოგიის დოქტორთან, ბსუ-ის ასოცირებულ პროფესორთან, ***ნანა ტრაპაიძესთან.***

ინტერვიუს უძღვება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი ***ნინო მოქია.***

— ქ-ნო ნანა, როგორ იწყება თქვენი დღე?

— ჩვეულებრივ, როგორც ალბათ ყველასი. სამსახურში არდაგვიანების აჩქარებით ☺

— რას საქმიანობთ უნივერსიტეტის გარეთ?

— დასვენებისთვის ცოტა დრო მაქვს. სამუშაო სახლშიც მიმყვება. ჩემი საქმე ჩემი გართობაცაა. ამის გამო დიდხანს მეგონა, უსაქმური ვიყავი ☺. თვითირონია არასოდეს მტოვებს. ეს ყველაზე ხელჩასაჭიდი რამ მგონია, რის საფუძველზეც შეიძლება ჩვენს შემოქმედებით შედეგებზე ობიექტური სწორება. სერიოზული სერიოზულობა, სიყალბეა. ამას სერიოზულობასთან არაფერი აქვს საერთო! ☺ თუ კულტურის საქმიანობაში, ცხოვრებაში თამაშებრივი ელემენტი არ მუშაობს, ის თავისუფალი არ არის. არც ნაყოფიერი.

— ცნობილია თქვენი ლიტერატურული კლუბი და საჯარო ლექციები, რომელიც გასულ სასწავლო წელს ტარდებოდა. როგორ დაიწყეთ ეს და გაგრძელება თუ არა.

— ეს იყო სპონტანური იდეა. სააუდიტორო საათების არასაკამრისობის გამო გაჩნდა სწავლების არაოფიციალური პერსპექტივა და მე და ჩემი სტუდენტები, ასე ვთქვათ, განვივრცეთ საკვირაო შეხვედრებში. ამ შეხვედრებზე დაიბადა მწერლების, ლიტერატორების, ფილოსოფოსების მოწვევის იდეა. მიზანი იყო ინტელექტუალური გამოცდილებების გაფართოება, ცოცხალი აზროვნების, ინტელექტუალური,კრიტიკული დიალოგის აკადემიურ სივრცეში მოქცევა. ერთგვარი შემოქმედებითი აქტებისა და კავშირების კუნძულის შექმნა. ჩემი ბათუმელი და თბილისელი მეგობრები ენთუზიაზმით აყვნენ ამ წამოწყებას და შემოგვიერთდნენ. ლიტ.კლუბის ფორმატში რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი საჯარო ლექცია გაიმართა. მალე გამოვა წაკითხული ლექციების კრებული და მას გაეცნობა ისინიც, ვინც ეს შეხვედრები გამოტოვა. შეხვედრები გაგრძელდება აპრილიდან. ჰუმანიტარული ფაკულტეტის არაფორმალური განათლების ცენტრის ფარგლებში რამდენიმე საინტერესო საჯარო ლექციაც ჩატარდება აჭარის განათლების სამინისტროს საგრანტო პროგრამის მხარდაჭერით.

— გვესაუბრეთ თქვენს კარიერულ მიღწევებზე.

— არასოდეს მქონია კარიერული გეგმები. ამისთვის მეტისმეტად ინფანტილური ვარ. შრომა მიყვარს, ხომ გითხარით, ასე ვერთობი ☺ ჰოდა, იქ ვარ, სადაც ვარ. ამ ადგილს არაფერს ვუწუნებ. ზოგჯერ მეტი ჰაერი, მეტი სივრცე გინდება. თუმცა ვფიქრობ, არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც უკმარობა არ იარსებებს. ცხადია, ფარდობითობის ამბავიც მესმის ☺. მაგრამ მთავარია, რისი დანახვა შეგიძლია, ვიდრე ის, რას ხედავ ცხვირწინ ☺ მე ვფიქრობ, ჩვენ იქაცა ვართ, სადაც არ ვართ. ისევე როგორც შეიძლება არც იქ იყო, სადაც ხარ ☺

— როგორ ანაწილებთ დროს?

— არაფერს ვანაწილებ. თვითონ მანაწილებს ☺ პასუხისმგებლობა შესანიშნავი მენეჯერია, უკომპრომისო, — დაუმორჩილებლობის (ანუ დაღლის) ზღვარზე სინდისს ეძახის ხოლმე☺ და ხვდები, ძალა სწორედ რომ თავს ზემოთაა. იცის ეს მენეჯერმა ☺

— რა მოგწონთ და არ მოგწონთ ადამიანებში?

— იუმორი. ეს მნიშვნელოვანია. იუმორი ნიჭია და სიბრძნე. არა მასხრობა, ხუმრობა, არამედ იუმორი. სხვადასხვა რამეებია. იუმორი სპონტანურია. ეს არტისტული, შემოქმედებითი აქტია. კარგი იუმორის ადამიანები არტისტები არიან, ისინი უხილავი შინაგანი ქსელებისგან ქსოვენ რაღაც ძალიან კარგს, რეალურად სიცოცხლეს. სიცილი კულტურაა, სპეციფიკურად ადამიანური. პიროვნული და შემოქმედებითი ათვისების თვალსაზრისით უაღრესად ნაყოფიერი. მიყვარს სიცილი. მასში საკუთარი თავის ობიექტივაციაც. შესაბამისად, არ მიყვარს სერიოზული ხალხი, მგონია, რომ ისინი იტანჯებიან სოციალურ პოზებში, ცხოვრობენ სიცოცხლის გარეშე, რაღაც ბანალურს ცხოვრობენ. მათ ვერაფერი ისწავლეს. ასეთი ადამიანები ცუდად მარტონი არიან. კარგად მარტო უნდა იყო ადამიანი. მარტოობა თავისუფლების სივრცის ერთ-ერთი მყარი ელემენტია. ოღონდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი. მომწონს ყველა და ყველაფერი, რაც ცოცხალია.

— რომელი წიგნი წაგიკითხავთ ყველაზე ხშირად?

— „ვეფხისტყაოსანი“. ამ ქმნილების მიმართ მაქვს მოწიწება. და ვკითხულობ მას არა მარტო სიამოვნების, არამედ მისი რთული სიმარტივისადმი გაუნელებელი ინტერესის გამოც. უფრო ზუსტად, მოწიწების ესთეტიკური ძირის შეხება მომწონს. ძალიან პიკანტური რომანია. რა რომანიო, არა? კი, რომანია. ეს სხვაგან ავხსნათ☺. „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მახვილგონივრული და სევდიანი ქმნილებაა. გენიალურთა იდუმალებაა — ქმნილება ვიცით, ავტორი — არა. ეს დიადი ამბავია. შთამაგონებელი ამბავიც. ჩემთვის ასეა. მოუსმინეთ ამას:

პირველ გაჭრისა პირება, მერმე დაწყნარდეს ცნობანი;

ჩემთა სწორთაგან იყვნიან ჩემს წინა ნადიმობანი,

მაგრა დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი;

ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვნი საწუთროსა გმობანი“.

სრულიად ადამიანური ამბავი ენის მოქმედებით გარდაქმნილია პოეტურ ამბად, ანუ სიმართლისა და სიზუსტის თანხმობის ძალად. „ოდისეა“ მიყვარს ძალიან. რამდენჯერმე დაუძახნია ამ ქმნილებას თავისკენ. კლასიკას ვუბრუნდები ხოლმე.

— რა არის თქვენთვის ლიტერატურული ქმნილება? ყველაფერი, რაც იწერება მწერლობაა?

— ცხადია, არ არის. მოკლედ რომ ვთქვა, ლიტერატურა, უპირველესად, არის სიმართლე. სიმართლე გამოცდილებითი მოვლენაა. ის მხატვრულ სიტყვაში თავისით არ მოხვდება. როცა ის არ არის, მწერალი, უფრო ზუსტად, მოკალმე, აკეთებს ასლს.ან დაკავებულია საკუთარი პერსონის „ესთეტიზაციით“. ეს ერთგვარი ექსგიბიციონიზმია. ამ კვაზიპოეტური „ქმნილებების“ სახით ირგვლივ ძალიან ბევრი ასლია და ფსიქიკური სიშიშვლე.

საერთოდ, ლიტერატურა იწყება იქ, სადაც ავტორი მთავრდება; ან სადაც ავტორი იწყება, იქ ლიტერატურა მთავრდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურის სივრცე წმინდა ესთეტიკური სივრცეა და ყველაფერი მხოლოდ ამ არხიდან შემოდის მასში. ლიტერატურას, როგორც პოეტურ არქიტექტურას, ესთეტიკურ სხეულს, აქვს თავისი „ხიმინჯები“, რომელზეც ის სიტყვის მატერიას აშენებს, ქსოვს. მაგრამ ისინი არ უნდა ჩანდეს. ამას ნიჭი და შრომა სჭირდება. თქვენი თაობის ლიტერატურული გარემო სავსეა უხორცო პოეტური ჩონჩხებით.

— ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი თქვენი ცხოვრებიდან.

— მეხსიერება უცნაური რამეა, იგი სიცარიელისკენაა მიდრეკილი. ამიტომ გვამახსოვრდება წამი, ანუ თითქმის არაფერი, ვერმოსაყოლი არაფერი. დასამახსოვრებელი მომენტი ნიშნავს მხოლოდ შთამბეჭდავი წამის ხსოვნას. წამს ვერ მოყვები. ეს პოეტების საქმეა ☺ მე პოეტი არა ვარ, თხრობა არ ვიცი ☺ ასეთი წამი შეიძლება მოხდეს მოულოდნელად. არც ისაა აუცილებელი, ის პირადად შენ გეხებოდეს. თუ ეს წამი შენს ემოციურ სივრცეში შეჩერდა, აქ მოხვდა, ე.ი. ის შენი წამია.

— დაახასიათეთ საკუთარი თავი სამი სიტყვით...

— უხასიათო, სპონტანური, კიდე... არ ვიცი ☺ საკუთარი თავის დახასიათება ძალიან უსარგებლო ოპერაციაა ტვინისთვის. შემიძლია ვთქვა ამ წამს როგორი ვარ. მაგრამ საამისო სერიოზულობაც არა მაქვს ☺

— რა არის სიყვარული თქვენი აზრით?

— ხარჯვა, გაბედულება და შემოკრება. ადამიანები ამ პოტენციის გარეშეც ცხოვრობენ, იწყობენ ცხოვრებას. რუსთაველი მაგათ „ჭკვიანებს“ უწოდებს, ცხადია, პოზიტიური აზრით — არა. ხარჯავს ის, ვისაც აქვს. ჩვენი დრო ძალიან ეკონომიურია; ხარჯვა ფუფუნებაა; სოციალური ძალებია დასაზოგი ☺

— სასწაულის გჯერათ?

— კი. აი, მაგალითად, არავითარი აუცილებლობა არ არსებობს იმის, რომ ახლა მე და შენ ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს ხდება. ისევე როგორც არსებობს აუცილებლობა, რომლის გამოც მე და შენ ვლაპარაკობთ:) არსებობა სასწაულია. ზოგჯერ მშვენიერი სასწაულიც.

— როგორი დიასახლისი ხართ?

— სახლი მიყვარს. ეს გულისხმობს გარკვეული „სასახლო“, საოჯახო ყოფის პრაქტიკული შეუძლებლობის, ან იშვიათი შესაძლებლობის გამო სევდასაც.

— რას ვერ ეგუებით?

— უსამართლობას. ანუ ბევრ რამეს, იმიტომ, რომ უსამართლობა ათასნაირად ვლინდება — სიბრმავეში, სიბრიყვეში, სიმხდალეში, უმადურობაში ადამიანურ შეზღუდულობებში, საერთოდ.

— როგორი დედა ხართ?

— ეს ჩემმა შვილმა იცის☺ გამიმართლა, რომ ისეთია, როგორიცაა. ერთმანეთის გვესმის. არაჩვეულებრივი მახვილი იუმორი აქვს. მეც მჩხვლეტს ხოლმე, გაბრაზებამდეც :)) (გაბრაზება ჟანრის კანონია, უნდა მოხდეს☺) ამ კითხვარის შევსებისას ვკითხე, როგორი დედა ვარ, რა დავწერო-მეთქი. წაიკითხა — „ერთმანეთის გვესმის“ — ერთი პაროდია მოაწყო ☺ გაბრაზების ზღვარზე მომეჩურჩულა — მე ბედნიერი ვარ შენთან ცხოვრებით. ასეთია ☺ თუ გადმოვეცი.

— რას გეგმავთ მომავალში?

— დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. სხვა არ ვიცი.

— რას ნიშნავს თქვენთვის უნივერსიტეტი?

— მშობლიურ ადგილს, რომლის ყველა ავ-კარგი იცი. გაწუხებს და გახარებს.

„სტილი თქვენი შინაგანი სამყაროს ფაქიზი ანარეკლია“

ალექსანდრე ზედანია

ჩაცმის სტილი ადამიანის იმიჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მოდის მოყვარულთა ქუჩის სტილი საინტერესო, მრავალფეროვანი და შთამაგონებელია. ნებით თუ უნებლიედ ადამიანების სტილი ჰგავს ერთმანეთს, ზოგჯერ მათ შორის საერთო ტენდენციები იკვეთება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ განსხვავებული სტილის ადამიანები არ გვყავს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტებზე შევაჩერე არჩევანი და ასე თუ ისე გადავავლე თვალი — როგორ სამოსს ანიჭებენ სტუდენტები უპირატესობას.

ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი თამრიკო ადეიშვილი ერთ-ერთი გემოვნებიანი სამოსის მატარებელია. „სტუდენტი ვალდებულია ეცვას გემოვნებიანად, გარეგნული იერი ახალგაზრდა ადამიანს თავდაჯერებულობას მატებს. ზოგი ამბობს, რომ ფიზიკური სილამაზე არ არის მთავარი, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, როგორი ლამაზიც არ უნდა იყო, არავინ დაინტერესდება შენით, თუკი ლამაზად არ გამოიყურები“, — ამბობს თამრიკო. იგი უპირატესობას ანიჭებს თავისუფალ სტილს, რადგან თავს ასე უფრო კომფორტულად გრძნობს, რაც რა თქმა უნდა, სტუდენტებისთვის აუცილებელია. თამრიკოს გარდერობში ჭარბობს შავი ფერის სამოსი, რადგან მიაჩნია, რომ ეს ფერი ელეგანტური და დახვეწილია.

თამრიკო ადეიშვილი

კლასიკური, დახვეწილი და ელეგანტური სტილის შემდეგ გადავინაცვლებ, შედარებით განსხვავებული სტილისაკენ, რომელიც ერთი შეხედვით, უცნაურადაც მოეჩვენება ადამიანს. ასეთი ორიგინალური და განსხვავებული სტილის მატარებელია 20 წლის ანა კონცელიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი. „უბრალოდ სხვებისგან განსხვავებული გემოვნება მაქვს, ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი მოდურად ჩაცმა, არ მივსდევ მოდას, მაგრამ მაცვია საკუთარი გემოვნების მიხედვით. ვფიქრობ, რომ ადამიანის ხასიათს მისი სამოსი განსაზღვრავს, რადგან ჩაცმის სტილით შემიძლია დავადგინო მისი გემოვნება. ვიზუალური მხარე მეხმარება ადამიანის ერთი შეხედვით გაცნობაში“, — თქვა ანამ. მას აცვია ის, რაც მოსწონს და უხდება.

ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბათუმელი ალექსანდრე ზედანია, რომელიც სატელევიზიო კონკურს „ახალ ხმაში“ მონაწილეობდა, ფიქრობს, რომ მოდა უპირველესად არის კომფორტი: „ტანსაცმელი არის სილამაზე. ამიტომ ადამიანმა ის უნდა ჩაიცვას რაც მოუხდება და რაც გაალამაზებს. მივიჩნევ, რომ სტუდენტისთვის აუცილებელია ეცვას გამორჩეულად, რადგან სტუდენტობის პერიოდში გადიხარ ფართო წრეში და გიწევს ყურადღების ცენტრში ყოფნა. იმიჯი და სტილი კი — შეიძლება ითქვას, წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მე პირადად უპირატესობას 90-იანი წლების ჩაცმულობას ვანიჭებ. ჩემს გარდერობში ჭარბობს ტყავის სამოსი. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმას, რომ ჩემთვის მოდა არის კომფორტი. მაცვია ის, რაც მომწონს“.

ყველას სურს იყოს შეუდარებელი, რადგან განუმეორებლობის შეგრძნება ენერგიას და დადებით ემოციებს მატებს ადამიანს. ზოგი ცდილობს არაორდინალური გადაწყვეტილებებით გამოირჩეოდეს, სხვები კლასიკას ემხრობიან, არჩევანი სხვადასხვაა და როგორიც არ უნდა იყოს იგი „სტილი თქვენი შინაგანი სამყაროს ფაქიზი ანარეკლია“, — ამბობს ფრანგი მწერალი ჟორჟ ბიუფინი.

მარიკა გამახარია,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

ანა კონცელიძე

მალხაზ ჩოხარაძე
ზაზა შაშიკაძე

მამია ფაღავას „შავშური ჩანაწერები“

შავშეთში პირველად 2005 წელს მოვხვდით. იმ კომპლექსური ექსპედიციის წევრები ვიყავით, რომელსაც მამია ფაღავა ხელმძღვანელობდა. პირველი ქართული სოფელი, რომელსაც მაშინ ვნახეთ, ბაზგირეთი გახლდათ. ბაზგირეთი განსაკუთრებული ხიბლის სოფელია. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს XIX საუკუნის აჭარულ სოფელში დავაბიჯებდით. როცა „შავშური ჩანაწერები“ წავიკითხეთ, დასაწყისშივე სწორედ იმ 2005 წლის ასეთ შთაბეჭდილებას წავაწყდი: „გულით გვიმასპინძლა ბაზგირეთმა... გულის კარიც გაგვიღეს და სულ რამდენიმე საათში შეგვაყვარეს საზგირელი თუ საკუპრია, სახახვია თუ ჯანჯირი, ქვაკიბე თუ კურტუკლი სერი... ისიც გაგვიმხილეს, რომ ბაზგირეთში აგვისტოშიც მოსულა თოვლი და შაირიც მოაყოლეს: „ბაზგირეთი ვის უქია, მარძობისთვეში უბუქია“...

ჩვენი ემოციაცაა ეს, ჩვენი განწყობაც, ისევე, როგორც ჩვენი ექსპედიციის ნებისმიერი წევრისა: „შავშური ჩანაწერები“ ხომ ჩვენს გვერდით, ჩვენი თანდასწრებით იწერებოდა. აქ მოთხრობილი ბევრი ამბავი ჩვენი ყურითაც გაგონილია. ამიტომაცაა ძვირფასი და ღირსშესანიშნავი. მაგრამ ღირსშესანიშნავი არა მხოლოდ ჩვენთვის. იგი სხვა, „უცხო“ მკითხველისთვის კიდევ უფრო მეტი ინტერესის აღმძვრელი უნდა იყოს. ჩვენ კი, რა გასაკვირია და, გაგვაჩნია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური დამოკიდებულება, ამასთან ვფიქრობთ, რომ ეს კარგი წიგნი ერთგვარად ჩრდილში მოექცა: დაიბეჭდა, ვიღაცამ წაიკითხა და ავტორს შეეხმიანა ან მეგობართა წრეში გამოხატა დამოკიდებულება, ვიღაცამ ვერ წაიკითხა და... სწორედ „ვერ წაიკითხაზე“ უნდა შევჩერდეთ. წიგნზე მითითებული არაა, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ სულ რაღაც 150 ეგზემპლარი დაიბეჭდა. ეს რომ დალხენილი ცხოვრების შედეგი არაა, ცხადია, მაგრამ „შავშურ ჩანაწერებზე“ საუბარი სწორედ ამ „ნაკლით“ უნდა დავიწყოთ: ტირაჟია მცირე... ტაო-კლარჯეთზე დღეს უამრავი ავი თუ კარგი მასალა არსებობს. ბევრი მათგანი იმსახურებს მკითხველის ყურადღებას. მიუხედავად ამისა საზოგადოებისთვის პოპულარულ ენაზე დაწერილი წიგნები არც თუ ისე ბევრია. „შავშური ჩანაწერების“ სტრუქტურასა და შინაარსს ქვემოთ ფართოდ შევეხებით, მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთის მიმართ საზოგადოდ არსებული განსაკუთრებული ინტერესის გამო ჰყავს მას მკითხველი და კიდევ უფრო მეტი ეყოლება, რომ არა შეზღუდული ტირაჟი.

ვინც ასე თუ ისე იცნობს მამია ფაღავას სამეცნიერო საქმიანობას, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ „შავშურ ჩანაწერებზე“ საუბარი შეუძლებელია გასულ წელს დაბეჭდილი ვრცელი მონოგრაფიის „შავშეთის“ გარეშე. მონოგრაფია, როგორც ცნობილია, შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო გრანტის ფარგლებში. მას თერთმეტი ავტორი ჰყავს, ხოლო გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მამია ფაღავა გახლდათ და თავადვეა მონოგრაფიის რედაქტორი. გვინდა ვთქვათ, რომ ეს ორი წიგნი ერთგვარ გარემოებათა პირმშოა, საქმიანობის ერთი მიმართულების ორი შტო.

კიდევ ერთი წინასწარი მოსაზრება ავტორის მიზანდასახულობას, საკუთარი ნაშრომის მიმართ დამოკიდებულებას, პოზიციას ეხება. შესავალში იგი წერს: „ვცდილობდი, ყველაფერი პირველი ნახვის შთაბეჭდილებაში მყოფს დამეწერა და არა დამშვიდებულს, ცივი გონებით... ვფიქრობდი, ასე უფრო მოვახერხებდი მკითხველთან დიალოგს“... მკითხველთან დიალოგი ნამდვილად შედგა. ემოცია დიახაც თანამდევია ამ წიგნისა. ამაზე ქვემოთ არაერთხელ მოგვიხდება მინიშნება. ამჯერად ერთ გარემოებას მივაპყრობ მხოლოდ ყურადღებას: ქრონოლოგიურად პირველ ჩანაწერში („მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანაწერები“) ემოცია სჭარბობს. ნერვების ტოკვა უფროა ეს ფრაგმენტი (ნაცნობი გრძნობა და განწყობა უნდა იყოს



ყველა ქართველისთვის, ვისაც ჭოროხის აუზი დაუვლია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პირველად ხვდება იქ). მერე და მერე უფრო მშვიდდება ემოცია. ცხადია, არ ქრება, მაგრამ ის პირველი მაინც სხვა სინჯის და სხვა ხარისხისაა. ტკივილი იწვევს ამ ემოციას. ის ტკივილი, საქართველო რომ ჰქვია...

* * *

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით „შავშური ჩანაწერების“ სტრუქტურაზე. ნაშრომი დაყოფილია ცალკეულ ნაწილებად აქ აღწერილი ექსპედიციების თუ მოგზაურობათა კვალობაზე. ამდენად,

შეიძლება ითქვას, რომ თითოეული თავი ერთი კონკრეტულად აღებული ექსპედიციის დღიურია. თუმცა, აქაც საჭიროა დაზუსტება: წიგნის კომპოზიცია გულისხმობს ჩანართებსაც — ერთგვარ ავტონომიურ ქვეთავებს, რომელთა შინაარსი სცილდება ერთი ექსპედიციის ფარგლებს.

ფორმალურად წიგნი სამი ჩანაწერისაგან შედგება. თითოეული ჩანაწერი დაყოფილია ქვეთავებად — ექსპედიციის მარშრუტისა თუ განსახილველი საკითხის შესაბამისად. ბოლო თავია „განსჯა“, რომელშიც განზოგადებულია სამეცნიერო მასალა და მოცემულია დასკვნები. წიგნს დაერთვის ცი-ტირებული ლიტერატურის სია და შემოკლებათა განმარტება.

პირველი ჩანაწერის საფუძველი 2005 წლის ზაფხულის ექსპედიციაა. ეს იყო პირველი კომპლექსური ექსპედიცია შავშეთში, რომელმაც იმჟამინდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევით ცენტრში დაამკვიდრა ახალი ფორმატი ჭოროხის აუზის „ქვეყნების“ კვლევისა და ამ ფორმატს, ამ იდეას სათავე სწორედ „შავშური ჩანაწერების“ ავტორმა დაუდო.

ამავე პირველი ჩანაწერის, როგორც ზემოთ მივუთითებდი, ავტონომიური ნაწილია მოგზაურობა ტაო-კლარჯეთის სავანეებში, რომელსაც ავტორი ექსკურსიას უწოდებს. შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ჩვენ მაინც დავაზუსტებთ — ეს უფრო მომავალ მიზანთა ფარგლების მონიშნვა იყო და ამის დასტური სწორედ შემდგომი საქმიანობა გახლავთ.

მეორე ჩანაწერში ასახულია 2009 წლის შავშეთის ექსპედიცია, აგრეთვე მოცემულია კლარჯეთის, ტაოსა და სპერის ექსპედიციის მასალები, ამ ჩანაწერის შინაარსიც სცილდება შავშეთის ფარგლებს და გარკვეული „ავტონომიურობით“ ხასიათდება. კერძოდ, ესენია:

1. კლარჯეთის წმინდა სავანეებში,
2. ტაოსა და სპერში,
3. ტაოს მექართულე სოფლები,
4. მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანაწერები.

ეს უკანასკნელი ჩანართი უფრო ძველ, ჩვიდმეტი წლის წინანდელ, 1995 წლის ტაოს ექსპედიციას აღწერს. მოცემული ნაწილის შეტანა წიგნში იმ თვალსაზრისითაც ჰმატებს ღირსებას ნაშრომს, რომ მკითხველს გარკვეული დროის მონაკვეთში არსებულ ვითარებაზე დაკვირვების საშუალება ეძლევა.

მესამე ჩანაწერი 2010 წლის ოქტომბრის ექსპედიციის აღწერაა. აქვე ჩართულია ზოგიერთი მასალა 2010 წლისავე ზაფხულის კლარჯეთის ექსპედიციისა.

წიგნი, როგორც ვთქვით, სრულდება „განსჯით“ და აქ ასახულია არა მხოლოდ ექსპედიციების, არამედ მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევის შედეგები.

ამდენად, ქრონოლოგიურად თუ დავალაგებთ ნაშრომში ასახულ ექსპედიციებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

1995 წელი — ექსპედიცია ტაოში.

2005 წელი — ა) შავშეთის ექსპედიცია

ბ) ტაო-კლარჯეთის სავანეები.

2009 წელი — ა) შავშეთის ექსპედიცია

ბ) ექსპედიცია კლარჯეთში

გ) დაზვერვითი ექსპედიცია ტაოსა და სპერში

2010 წელი — ა) ზაფხული — ექსპედიციები ტაოსა (პარხლისწყლის ხეობა) და

კლარჯეთში (ფორთა და კარჩხლის ხეობა)

ბ) შემოდგომა — ექსპედიცია შავშეთში.

ამ ჩამონათვალში ვერ მოხვდა 2007 და 2011 წლების უაღრესად ნაყოფიერი ექსპედიციები. ამ უკანასკნელის მიზეზი მარტივია — 2011 წლის ზაფხულში წიგნი უკვე გამოცემული იყო. რაც შეეხება 2007 წელს, ეს კიდევ ერთი, ლამის ტრაგიკული ისტორიაა და უნდა მოვყვეთ:

2007 წლის ექსპედიციაში 28 ივლისს წავედით. ეს იყო კომპლექსური ექსპედიცია კლარჯეთში, კერძოდ, ლივანასა და მურღულში. ამის შემდეგ დაგეგმილი იყო ახალი ექსპედიცია ახალი შემადგენლობით ლაზეთში, ხოლო კიდევ ერთი დაზვერვითი ექსპედიცია — ტაოსა და სპერში. ეს გეგმა შესრულდა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, სახეტიალოდ გასული კაცის გზა, მეტადრე უცხო ქვეყანაში, ია-ვარდით მოფენილი როდია. არაერთხელ წამოგვწევია ხიფათი და განსაცდელი. ეს ალბათ ყველაზე დიდი გამოცდა იყო ჩვენი ექსპედიციისა: 2 აგვისტოს მამია ფაღავა ტკივილებმა შეაწუხა. მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ჭირთა თმენა რომ შეუძლია. იმ დღეს დევესქილის ხეობაში მივდიოდით და არც წამოსვლაზე უთქვამს უარი. ჩვენც ეს ტკივილები თავიდან ავის მომასწავებლად არ ჩაგვითვლია. ბედად, აღმართში მიმავალ ავტომობილს „რესორი“ გაუტყდა და იძულებული გავხდით, უკან, ბორჩხაში მივბრუნებულიყავით. შეკეთებას ერთი საათი მაინც დასჭირდა და ამ ხნის განმავლობაში ისე უმატა ტკივილებმა, რომ მამია სასტუმროში დავტოვეთ, ამ რეცენზიის ავტორებიც დავრჩით პატრონად. ბორჩხასა და მახლობელ მიდამოებში კვალიფიციური ექიმი ვერ გვირჩიეს, არადა მდგომარეობა თვალდათვალ მძიმდებოდა. ბენო ჭელიძეს დავურეკეთ ბათუმში და როცა დაწვრილებით აღვუწერეთ სიმპტომები, მადლობა ღმერთს, ამ მადლიანმა კაცმა დაბეჯითებით მოითხოვა მისი ბათუმში ჩაყვანა. დევესქელში წასულ ავტობუსს ვინ დაელოდებოდა და ტაქსით ჩამოვიყვანეთ სარფამდე, გზიდანვე გავაფრთხილეთ დამხვდურები და ჩავაბარეთ გადმოღმა სარფში გადმოსულ ზურაბ შაშიკაძეს. სასწრაფო, გადაუდებელი ოპერაცია იმ დღესვე გაუკეთეს, ცხადია, მშვიდობიანად. უთუოდ ღვთის ნება იყო, იმ დილით მანქანა რომ გაფუჭდა, თანაც ისე, რომ შევძელით ბორჩხაში დაბრუნება, თორემ ვინ იცის, დევესქელში ასულები რამდენად მოვახერხებდით დროულ რეაგირებას.

გაგრძელება მე-10 გვ. -ზე

მამია ფაღავას „შავშური ჩანაწერები“

დასაწყისი მე-9 გვ. -ზე

* * *

როგორც ვხედავთ, ექსპედიციათა ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათი ორგანიზება არ იყო მარტივი — უპირატესად ვგულისხმობ დაფინანსებას, ხან ინდივიდუალური, ხანაც კოლექტიური ძალისხმევის ნაყოფს. გასაჭირი ბევრჯერ დაგვდგომია, მაგრამ მუდამ ვცდილობდით საქმე გვეკეთებინა — ხან გაგვდიოდა თხოვნა, ხან — არა... 2005 წლისა და 2007 წლის (კლარჯეთის ნაწილი) ექსპედიციები უნივერსიტეტმა დააფინანსა. 2009 და 2010 წლის შემოდგომის ექსპედიციები რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში დაფინანსდა. 2009 წლის ექსპედიციის ტაოსა და სპერის ნაწილი, ასევე 2010 წლის ზაფხულის ტაოსა და კლარჯეთის, 2011 წლის შავშეთ-კლარჯეთის ექსპედიცია ისევ უნივერსიტეტმა დააფინანსა, ოღონდ ამჯერად მოსამზადებელი ცენტრის ხაზით. 2007 წლის ლაზეთის, ასევე ტაოსა და სპერის ექსპედიცია ბათუმის მერის დამსახურებაა. მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველას. იმედი მაქვს, თანამდგომნი მომავალშიც გვეყოლება — უნივერსიტეტში თუ მის ფარგლებს გარეთ, მთავარი მაინც მიზანი და საქმეა: ამ ექსპედიციების, წლების განმავლობაში მიმდინარე კვლევა-ძიების შედეგად დაგროვდა მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება ჭოროხის ქვეყნების კვლევისათვის. ეს გამოცდილება ქვეყანას გამოადგება უპირველესად და ამიტომ ვართ დარწმუნებული, მხარში ამომდგომი მომავალშიც რომ არაერთი იქნება — აქ მხოლოდ „შავშური ჩანაწერების“ ავტორს როდი ვგულისხმობთ: საკვლევი და საძიებელი იმდენია ტაო-კლარჯეთში, რომ მას ვერ გასწვდება ვერც ერთი კაცი და ვერც ერთი ჯგუფი. მეტიც, არათუ ჩვენს თაობას, მომავალ თაობებსაც არ გამოელევათ საქმე და გასაკვირი არაა, რომ არაერთი ჩვენი კოლეგა ნაყოფიერად მუშაობს ამ პრობლემებზე და რომ ჩვენი უნივერსიტეტი მიისწრაფვის, კვლევის ეს მიმართულება აქციოს ერთ-ერთ პრიორიტეტად!

* * *

მივუბრუნდეთ „შავშურ ჩანაწერებს“. ზემოთ აღინიშნა, რომ ავტორი წიგნის ერთ ფრაგმენტს „მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანაწერებს. უწოდებს“. ამით უთუოდ ამ ფრაგმენტისა და საზოგადოდ წიგნისთვის თანამდევი ემოციის ხაზგასმა სურს. სინამდვილეში „შავშური ჩანაწერები“ ოდენ გამვლელის შთაბეჭდილებებზე აგებული წიგნი როდია. ეს მეცნიერის ჩანაწერებია და შესაბამისად, სცილდება სამოგზაურო ჟანრის ტრადიციულ ჩარჩოებს. ერთმანეთს ენაცვლება ერთი მხრივ თვალ და გულმოშიებული მოგზაურის თანმიმდევრული აღწერა თუ თხრობა, ხან მშვიდი, ხანაც, დანახულის და გაგონილის შინაარსიდან გამომდინარე — ემოციით გაჯერებული, მეორე მხრივ კი მეცნიერის ობიექტური განსჯა და ანალიზი. საფიქრალს კი რა გამოლევს იმ ლამის ქართველობადაშრეტილ მიწაზე. ამიტომაცაა, რომ ზემოხსენებულ აღწერა-თხრობასა და მსჯელობას ხშირად ენაცვლება ხოლმე პატრიოტის მძიმე ოხვრა — მაგალითად, ამგვარი:

„სპერი ფეოდალურ ხანაში საქართველოს სამხრეთი კარიბჭე იყო. პირველად ღებულობდნენ სპერელნი მომხვდურთა დარტყმებს. სპერის ბებერ კედლებს ბევრი რამ ახსოვთ, — ავიც და კარგიც... მათ კედლებთან არაერთს უსახელებია თავიცა და ქვეყანაც და საფლავიც იქვე უნახავს. მათი სახელები იცის ამ ციხემ, სათითაოდ ახსოვს ყველა; რა დაავიწყებს, ისინი ხომ მის კედლებთან გაიზარდნენ, აქვე დავაჟკაცდნენ, აქ ისწავლეს ხმლის ალესვაცა და ხმარებაც, გუშაგობაცა და სამხედრო წყობაც. მან ჩაუნერგა ბიჭებს სპერის მდინარის, ჭოროხის სიყვარული, და იმ ქვეყნისაც, საითკენაც მიედინებოდა დედა მდინარე“...







აქ ოხვრასთან ერთად ემოციაც საგრძნობია. კიდევ უფრო თუ დავაკონკრეტებთ, წიგნში პატიოსანი მოგზაურის გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით მოთხრობილია, კვალიფიციური მეცნიერის პროფესიონალიზმით განსჯილია ჭოროხის „ქვეყნების“ წარსულისა თუ თანამედროვეობის არაერთი ფაქტისა და მოვლენის შესახებ.

* * *

თავდაპირველად სწორედ სამეცნიერო ნაწილს უნდა შევეხოთ. მოკლედ, გაკვრით, თორემ წიგნის სამეცნიერო შრის ბეჯით ანალიზს მეტად დიდი დრო და ადგილი დასჭირდება, იმიტომ, რომ აქ განხილულია ქართველოლოგიის არაერთი საჭირბოროტო საკითხი: წიგნის ავტორის ინტერესები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. იგი გულდაგულ, ძირისძირამდე ჩასდევს „პარეხ“ ფუძის ეტიმოლოგიას თუ ჩვენებურთა ქართულის ფონეტიკურ თავისებურებებს, „წეფთის“ ისტორიას და ტოპონიმის რაობას თუ ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციას პრობლემას, „გურჯი ვაიზის“ სევდიან ინტონაციას თუ თურქული ისტორიოგრაფიის სუბიექტივიზმს.

მამია ფაღავა უპირველესად ენათმეცნიერია. ამიტომ ბუნებრივია, რომ „შავშური ჩანაწერების“ არაერთ ფრაგმენტში ვხვდებით შავშური დიალექტის და საზოგადოდ, სამხრული მეტყველების ანალიზს. ამ საკითხებში „ჩაღრმავებას“ აქ არ ვაპირებთ, მითუმეტეს, რომ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში („შავშეთი“) შავშური კილოს ვრცელი გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი სწორედ მამია ფაღავაა. ამჯერად შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი ლინგვისტების საქმიანობა, თურქეთის საქართველოში სამხრული დიალექტების შესწავლის პროცესი, მაგონებს იმ მეცნიერის მუშაობას, რომელიც პალიმფსესტების ძველი ფენების ამოკითხვას ცდილობს. პალიმფსესტი, მოგეხსენებათ, ხელნაწერია, ძირითადად, ეტრატზე შესრულებული, რომელზედაც ძველი ტექსტი გადაფხეკილია და ახალია დაწერილი. მართალია ძალიან ძნელად, მაგრამ თანამედროვე პალეოგრაფიის მიღწევები იძლევა ასეთ ეტრატზე არსებული წინა ტექსტების წაკითხვის შესაძლებლობას.

თანამედროვე ენათმეცნიერთა მუშაობა — ტაოურ, კლარჯულ თუ შავშურ დიალექტებზე დაკვირვებაც ეგ არის: თურქულმა უდიდესი გავლენა მოახდინა აქაურთა მეტყველებაზე. გავლენა შეეხო უპირველესად ლექსიკას. ფონეტიკას და გრამატიკას — ნაკლებად, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინტონაციასაც და დიქციასაც.

თანამედროვე ენათმეცნიერმა ეს შემდგომში შეძენილი თავისებურებები როგორმე, შეძლებისდაგვარად, უნდა მოაშოროს ჩვენებურთა ქართულს და თავდაპირველ მეტყველებამდე უნდა დავიდეს, ანუ „ძველი ფენა“, „ძველი ტექსტები“ უნდა წაიკითხს.

იდეალური სიზუსტით ამის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომაც არის ენათმეცნიერთა მუშაობა ძნელი და პატივსაცემი.

მაგრამ „შავშური ჩანაწერების“ მეცნიერული ხიბლი ენათმეცნიერებით როდი შემოიფარგლება. ავტორი ხან ეთნოგრაფის დაკვირვებულ თვალს გაადევნებს შავშელთა თანამედროვე ყოფის დეტალებს (მაგალითად, ასე: „ბაზგირეთში და არამარტო აქ, მოშლილია ქართული ტრადიციული მეურნეობა, აქ აღარ მისდევენ მემინდვრეობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მეხილეობას და მებახჩეობას. გადაშენების გზაზეა ხორბლისა და ხეხილის ენდემური ჯიშები... თავისთავად იშლება ქართული ყოფა...), ხან კიდევ ისტორიკოსის გულმოდგინებით უღრმავდება წარსულისა და თანამედროვეობის ფაქტებს. (მაგალითად, ასე: „...თუ გავითვალისწინებთ ტბეთის მდებარეობას, უწინდელ გზებს, ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობას, შეიძლება დავუშვათ, რომ აწინდელი სათლელის ციხე უწინდელი „ციხე სუეტისაა“, რომელიც, მემატიანის ცნობით, მტბევარმა ეპისკოპოსმა საბამ ააგო“...)

ამ ყველაფერზე მეტისმეტად მოკლედ ვსაუბრობთ, ვცდილობთ, სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, გასაგებია, რომ ერთი სტატიის თუ მოხსენების ფარგლებში ყველა სამეცნიერო „ძარღვის“ განხილვა შეუძლებელია, მაგრამ ერთ საკითხზე მაინც უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ. კერძოდ, ხანძთაზე.

ნიკო მარიდან და პავლე ინგოროყვადან მოყოლებული ხანძთის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით დღემდე ორი ძირითადი ვერსია არსებობს.

მკვლევართა ერთი ნაწილი, უპირატესად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ანალიზის, აგრეთვე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მდინარე კარჩხალას ხეობაში მდებარე ნუკა-საყდრის სახელით ცნობილი ეკლესია არის სწორედ ხანძთა.

სხვანი არანაკლები დამაჯერებლობით ასაბუთებენ, რომ X საუკუნის დასაწყისში აგებული „ახალი და შუენიერი“ ეკლესია ხანძთისა არის ქვემო ფორთაში მდებარე დიდი უსახელო სამონასტრო კომპლექსი;

ხანძთის ნუკა-საყდართან გაიგივების ვერსიას სათავე დაუდო ნიკო მარმა XX საუკუნის დასაწყისში. ამავე საუკუნის 50-იან წლებამდე ეს მოსაზრება სავსებით მისაღები იყო სამეცნიერო წრეებისთვის. სწავლულთა აზრები მას შემდეგ გაიყო, რაც პავლე ინგოროყვამ ქვემო ფორთის უსახელო სავანე (რომელიც ნიკო მარს შატბერდი ეგონა) მიიჩნია ხანძთად.

მას შემდეგ ხანძთის ლოკალიზაციასთან დაკავშირებულ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა მოსაზრებები სწორედ ამ ორ სავანეს უკავშირდება. პავლე ინგოროყვას ვერსიას უკანასკნელ პერიოდში მხარი დაუჭირეს და ახალი არგუმენტებით განამტკიცეს ვახტანგ ჯობაძემ, დავით ხოშტარიამ, დარეჯან კლდიაშვილმა და სხვებმა. ხანძთის ადგილმდებარეობის თავდაპირველ, მარისეულ ვერსიას კი მხარი დაუჭირა მამია ფაღავამ, რომელიც ამ თემას ფართოდ განიხილავს „შავშურ ჩანაწერებში“ (პირველი წერილი ამ პრობლემის თაობაზე დაბეჭდა 2007 წელს): გიორგი მერჩულეს ტექსტის ანალიზის და ნუკა-საყდრის მიდამოების შესწავლის საფუძველზე ახალი სიცოცხლეს ანიჭებს თითქოს მივიწყებულ თვალსაზრისს.

დასასრული შემდეგ ნომერში

ფრანკოფონიის კვირეულის საზეიმო დახურვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანკოფონიის კვირეული საზეიმოდ დაიხურა. კვირეულის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი, საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი კულტურისა საკითხებში ჟან ივ-ლავუარი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტსა და ფრანგულ ინსტიტუტს შორის ხელი მოეწერა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს , რომელიც ურთიერთობის გაღრმავებას, ფრანგული ენის და კულტურისა პოპულარიზაციას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას და სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობას ითვალისწინებს.

ფრანკოფონიის კვირეულის დახურვის ცერემონიაზე ფრანგული ენის კონკურში გამარჯვებულ სტუდენტებსა და საჯარო სკოლის მოსწავლეებს სიგელები გადასცეს. ასევე, პრეზენტაცია გაიმართა ფრანგული ინსტიტუტის საქმიანობასა და გაცვლით პროგრამებზე.

ფრანკოფონიის კვირეული, რომელიც მთელს მსოფლიოში აღინიშნება, 19 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფრანგულ ინსტიტუტთან ერთად, ფრანკოფონიის დღეებს ყოველწლიურად, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღნიშნავს.

„უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის პრეზენტაცია

2016 წლის 15 მარტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2016 წლის „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც 4 ძირითად კომპონენტს მოიცავს : კონფერენციის მოწყობა, საზაფხულო სკოლა, საჯარო ლექციები, უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა.

შეხვედრას რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ინგა შამილიშვილი, აჭარის ავტონომმიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე სულიკო თებიძე, პროფესორ-მასწავლებლები და მაგისტრანტები ესწრებოდნენ. მსმენელებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს კონკურსში მონაწილეობის პირობებსა და ვადებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

„უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა 2014 წლიდან მოქმედებს და ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვისაა განკუთვნილი.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ლინკი:

http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=1406&gid=6&ppid=12#.VugNEub-WUI

ტრენინგები TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროგრამის „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“-ს პერსონალი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ტრენინგებს ესწრებოდა. ტრენინგები, რომელიც თშ-ის პროექტის „თ“ — უმაღლესი განათლების მართვის მაგისტრი: ლიდერთა მომზადება საგანმანათლებლო ცვლილებების მართვისათვის“ ფარგლებში მიმდინარეობდა , საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესობას შეეხებოდა. ტრენინგებში მონაწილეობას ღებულობდნენ პროექტში მონაწილე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შავი ზღვის უნივერსიტეტი.

ტრენინგი ჩაატარეს პროგრამაში მონაწილე ევროპის უნივერსიტეტების: ჩეხეთის (მასარიკის უნივერსიტეტი), იტალიის (პალერმოს უნივერსიტეტი), გერმანიისა (კობლენცის უნივერსიტეტი) და დიდი ბრიტანეთის (მიდლსექსის უნივერსიტეტი) პროფესორებმა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფი სამაგისტრო პროგრამის „განათლების მენეჯმენტის“ მონიტორინგისა და ექსპერტიზათვის.

ფრანგი მასწავლებელი ბსუ-ში

მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამის — „გირ ჩ“ — ის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ფრანგი მასწავლებელი ფრანსუაზა ლენოტრი ეწვია. მოწვეული მასწავლებელი 3 თვის განმავლობაში პრაქტიკულ მეცადინეობებს ჩაუტარებს ფრანგული ფილოლოგიის (ძირითადი და დამატებითი) სპეციალობის სტუდენტებს. ამასთანავე, ის გამოცდილებას გაუზიარებს ლექტორ-მასწავლებლებს უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებში. ფრანგი მასწავლებლის ვიზიტი ფრანგული ენის პოპულარიზაციას, ფრანგული ფილოლოგიის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას და გამოცდილების გაზიარებას ემსახურება.

ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, რომელსაც რექტორის მოადგილეები ინგა შამილიშვილი, ნათია წიკლაშვილი და იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ადამ მახარაძე წარმოადგენდნენ, ოფიციალური ვიზიტით უკრაინაში, ივანო-ფრანკოვსკის მეფე დანილო გალიცკის სახელობის სამართლის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობას ითვალისწინებს. დაიგეგმა ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება.

ვიზიტის განმავლობაში, ბსუ-ს დელეგაცია საერთაშორისო სიმპოზიუმს დაესწრო. სიმპოზიუმი უკანონო მიგრაციისა და ადამინებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემებს მიეძღვნა. პროფესორმა ადამ მახარაძემ მოხსენება წაიკითხა თემაზე: „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისათვის ქართული კანონმდებლობაში“.ვიზიტის დროს ოფიციალური შეხვედრები გაიმართა სიმპოზიუმის სხვა მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლებთანაც, სადაც მომავალი ურთიერთობების პერსპექტივები განიხილეს.

ეროვნული უსაფრთხოება და საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა, საქართველოს ყოფილმა ელჩმა ნატოში ლევან დოლიძემ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: ეროვნული უსაფრთხოება და საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. საჯარო ლექციების პროექტი, რომელიც ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, მიზნად ისახავს სტუდენტების მაქსიმალურ ჩართვასა და ინფორმირებას ქვეყნის უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პირობების შექმნაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმიც, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ერთობლივ საგანმანათლებო-შემეცნებითი პროექტების განხორციელებაში ჩაერთვებიან.

შეხვედრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უცხოელ სტუდენტებთან

დღეს, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ხალვაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უცხოელ სტუდენტებს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრას ყაზახეთის იურიდიული უნივერსიტეტის, ნახიჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თურქეთის რესპუბლიკის 25-მდე სტუდენტი ესწრებოდა. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი უცხოელი სტუდენტების სწავლისა და ცხოვრების პირობებს გაეცნო. ასევე, დაიგეგმა სხვადასხვა გაცნობითი და კულტურული ღონისძიებების მოწყობა. შეხვედრის დასასრულს სტუდენტებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 30 უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ყაზახი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ბსუ-ში გაცვლითი პროგრამების ფარგლებში იმყოფებიან, თურქი სტუდენტები კი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის საფეხურიატის სტუდენტები არიან.

ღია კარის დღეები — 2016 რაიონებში

ხულოში, შუახევში, ქედაში, ხელვაჩაურში და ქობულეთში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღია კარის დღეები გაიმართა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა აბიტურიენტებისათვის უნივერსიტეტის წარდგინება გამართეს. მეთორმეტე კლასის მოსწავლეები უნივერსიტეტში სწავლების პირობებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, სტიპენდიებს, სოციალური და გაცვლით პროგრამებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას, სტუდენტური ცხოვრებასა და სიახლეებს დეტალურად გაეცნენ. მომავალ სტუდენტებს უნივერსიტეტის საინფორმაციო ბროშურები და საჩუქრები გადაეცათ.

TEMPUS INOTLES-ის პროექტი „სწავლისა და სწავლების ინოვაციები ევროპისმცოდნეობის დარგში“

2000 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ არაერთ საგრანტო პროექტსა და გაცვლით პროგრამაშია ჩართული. კერძოდ, ბსუ-ს მოპოვებული აქვს 18 გრანტი ტემპუსის პროექტში, მათგან 12 უკვე დასრულდა, 6 პროექტი კი გრძელდება.

TEMPUS INOTLES-ის პროექტი „სწავლისა და სწავლების ინოვაციები ევროპისმცოდნეობის დარგში“ (Innovating Teaching and Learning of European Studies) უნივერსიტეტში 2013 წელს ამოქმედდა. მას კოორდინირებას უწევს საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ნანა ყურშუბაძე. პროექტის განხორციელებაში ასევე აქტიურად არიან ჩართული სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები.

პროექტის მიზანია: აღმოსავლეთ-სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებში (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო) ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვა, არსებული მოდულების (საერთაშორისო ინსტიტუტები, საგარეო ურთიერთობები, საერთაშორისო სამართალი, კვლევის მეთოდები, ევროპული პოლიტიკა) რესტრუქტურიზაცია, დამხმარე სახელმძღვანელოს გამოშვება, პარტნიორ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე ადამიანური და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულებით აპარატურის, სახელმძღვანელოებისა თუ წიგნების შეძენა. სტუდენტის პრაქტიკა, ევროპული კვლევების ცენტრის ჩამოყალიბება, სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში ხელშეწყობა.

პროექტში ევროკავშირისა და მისი აღმოსავლეთ-სამეზობლოს ქვეყნებიდან 10 პარტნიორი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა ჩართული: მაასტრიხტის უნივერსიტეტი (ნიდერლანდების სამეფო) — კოორდინატორი; ბრიუსელის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტი (ბელგიის სამეფო); სერეის უნივერსიტეტი (გაერთიანებული სამეფო); მოლდოვას თავისუფალი საერთაშორისო უნივერსიტეტი (მოლდოვა); კახულის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოლდოვა); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); „კიევო — მოჰილას აკადემია“, ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა); იური ფედკოვიჩის სახელობის ჩერნივცის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა); ბუდაპეშტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერის ცენტრი (უნგრეთი) ერთობლივად ახორციელებენ პროექტის სამუშაო პაკეტებით გათვალისწინებულ და დაგეგმილ აქტივობებს. დღეისათვის პროექტის ფარგლებში შემდეგი სამუშაოებია ჩატარებული: ევროპისმცოდნეობის სწავლების მეთოდების მიმოხილვა (კითხვარების შევსება არსებული რესურსის მოკვლევის მიზნით); ბრიუსელის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტში ყოველი უნივერსიტეტიდან 5 პროფესორ-მასწავლებლის ტრენინგი და ტრენერებად გადამზადება აღნიშნული მეთოდების დანერგვისა და იმპლემენტაციის მიზნით, სასწავლო ვებინარებში ვიდეო ჩართვა-მონაწილეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური ტრენინგ ჯგუფების პრეზენტაციების წარდგენა, მოლდოვას თავისუფალ საერთაშორისო უნივერსიტეტში შუალედური კონფერენცია თემაზე: „ევროპისმცოდნეობის დარგში განვითარებისა და სწავლების მეთოდების შემუშავება/გავრცელება“.

პროექტში მონაწილე ყველა უნივერსიტეტის ჩართულობით, მეთოდების გამოყენების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით, შეიქმნა უნივერსიტეტთაშორისი მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსი ევროპისმცოდნეობის მიმართულებით. ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შერჩეულ იქნა სტუდენტთა საპილოტე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ასისტ. პროფესორი ლაშა ბაჟუნაიშვილი. მისი ხელმძღვანელობით ერთი სემესტრის განმავლობაში (2015 წლის 15 სექტემბრიდან 2016 წლის 18 მარტამდე) სტუდენტებმა სასწავლო კურსი „ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა“-გაიარეს, რომლის ფარგლებშიც ამუშავებდნენ მიღებულ მასალებს, ასრულებდნენ როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ დავალებებს, მონაწილეობდნენ ვიდეო-ლექციებში და ვებინარებში. ყოველი დავალების შესრულების შემდეგ უტარდებოდათ შიდა გამოცდები. ა.წ. წლის 16-18 მარტს ვრიჟეს უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტში (ქ. ბრიუსელი, ბელგიის სამეფო) შემაჯამებელი შეხვედრა — კოლოკვიუმი გაიმართა, სადაც სტუდენტებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს და დაიცვეს ჯგუფური ნაშრომები. აღნიშნულ ნაშრომებზე წინასწარ შერჩეულ ინტერნაციონალურ ჯგუფებში მუშაობა დისტანციურად მიმდინარეობდა ბოლო 3 თვის განმავლობაში. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მათი სემესტრული აქტივობა და დასკვნით კოლოკვიუმზე წარმოდგენილი ნაშრომები შეაფასა. ბსუ-ს ყველა სტუდენტმა წარმატებით გაიარა როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტი და უმაღლესი შეფასება მიიღო.

ლაშა გაჟუნაიშვილი: ტემპუსის ფარგლებში განვლილმა გადამზადების კურსმა და პარტნიორი უნივერსიტეტების კოლეგებთან ურთიერთობამ გარკვეული გამოცდილების დაგროვებას შეუწყო ხელი, რომლის პრაქტიკული გამოყენების საშულება პროექტის მეორე ეტაპზე მოგვეცა. გარდა ამისა, აღნიშნული ინოვაციური მეთოდები დანერგილი და გამოყენებული იქნა ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამებშიც (საერთაშორისო ურთიერთობები და ევროპისმცოდნეობა).

ანა ნიქაბაძე: TEMPUS-ის პროექტ INOTLES-ს ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის დელეგაციის ერთ-ერთი მონაწილე გახლდით ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გამართულ საუნივერსიტეტთაშორისო კურსში „ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა“. მონაწილეობა მივიღე ბრიუსელის ვრიჯე უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტში გამართულ დასკვნით კოლოქვიუმში. ეს ვიზიტი ჩემთვის როგორც ევროპისმცოდნეობის სტუდენტისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები მოეწყო ევროკავშირის წამყვან ინსტიტუტებში — ევროპარლამენტსა და ევროკომისიაში.

პროექტი „სწავლისა და სწავლების ინოვაციები ევროპისმცოდნეობის დარგში“ (INOTLES) 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და ევროპისმცოდნეობის დისტანციურ სწავლებას ითვალისწინებდა. საინტერესო იყო ისიც, რომ ჩვენ, მონაწილეებს საშუალება მოგვეცა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაგვემუშავებინა და მოგვემზადებინა საბოლოო შედეგზე ორიენტირებული პროექტი, რომელიც ევროკავშირის ძირითად გამოწვევებთან მოდიოდა თანხვედრაში. ჩემ მთავარ საკვლევ საგანს წარმოადგენდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების ეტაპების წარმოჩენა, თეორიის არსებობის აუცილებლობა პოლიტიკის განვითარების პროცესში და მისი ევოლუცია. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტის (INOTLES) ფარგლებში საშუალება მოგვეცა უშუალოდ მოგვესმინა და გაგვეანალიზებინა ევროინტიტუტების ექსპერტების შეფასებები საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებთან დაკავშირებით რეგიონთან მიმართებაში და მონაწილეობა მიგვეღო გეოპოლიტიკურ საკითხებში გამართულ ღია დისკუსიაში.

ქეთევან დევაძე: პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო. დისტანციური სწავლის ეს ჩემი პირველი გამოცდილებაა. საინტერესო იყო სასწავლო კურსის ფორმატი, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები და ლექტორები. 6 თვის განმავლობაში ვიღებდით წვდომას სასწავლო მასალებზე, შესაბამისად, ამ მასალებზე დაყრდნობით გვეძლეოდა სხვადასხვა სახის ჯგუფური თუ ინდივიდუალური დავალებები, ეწყობოდა ვიდეო-ლექციები და ვებინარები. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჯგუფური სამუშაოები, სადაც სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები შემთხვევითი შერჩევის წესით ვჯგუფდებოდით და ვიღებდით დავალებას შესასრულებლად. ამ პროცესში გამოგვიმუშავდა გუნდური მუშაობის უნარები, გავიცანით ჩვენი მომავალი კოლეგები და მოგვეცა ინტერკულტურული დიალოგის შესაძლებლობა. ბრიუსელში ჩვენი ვიზიტი გახლდათ 6-თვიანი სწავლის დასკვნითი კოლოკვიუმი. წარვადგინეთ პრეზენტაციები, მონაწილეობა მივიღეთ იმიტაციურ თამაშებში, ვეწვიეთ ევროპარლამენტსა და ევროკომისიას.

მიხეილ ბენია: დისტანციური სწავლების პროექტებს ძალიან საინტერესო სპეციფიკური სირთულე ახასიათებს, რომელიც შედგება სამი ეტაპისგან: პირველი, ეს არის დამოუკიდებლად მუშაობა, ინფორმაციის მიღება-დამუშავება-ანალიზი. მეორე ეტაპი მოიცავს დისტანციურ ჯგუფურ მუშაობას, რომელიც მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და მაქსიმალურ მობილიზებას, ამ ეტაპის მთავარი სირთულე მდგომარეობს მიღებული ინფორმაციის თანაგუნდელებთან გაზიარებასა და საბოლოოდ, საერთო პოზიციის ფორმირებაში. ბოლო, მესამე ეტაპი არის შეხვედრა თანაგუნდელებთან, სადაც უმოკლეს დროში უნდა გაიფილტროს, გადანაწილდეს და დაფასოვდეს სრული საპრეზენტაციო ტექსტი ისეთ „პროდუქტად“, რომლის მოსმენაც საინტერესო იქნება როგორც ჟიურისათვის, ასევე დამსწრე საზოგადოებისთვის. „INOTLES“-ი საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისთვის საუკეთესო შანსია მიიღონ ის გამოცდილება, რომელიც არის აუცილებელი სამომავლო კარიერული ზრდისათვის. ამ პროექტმა სტუდენტებს, როგორც ევროპული ქვეყნებისგან, ასევე არაევროპული ქვეყნებისგან მოგვცა შანსი გავსაუბრებოდით ევროკომისიის წარმომადგენელს და მიგვეღო პასუხები იმ კითხვებზე, რომლებსაც ვერცერთ მასმედიის წყაროში ვერ იპოვით, მოგვესმინა მისი შეფასებები ჩვენს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, გვესაუბრა საქართველოს სამომავლო პერსპექტივებზე ევროკავშირთან მიმართებაში. „პროექტ INOTLES“-ი ჩემს მოგონებაში დარჩება, როგორც უდიდესი და უმნიშვნელოვანესი გამოცდილება, რომელიც დატვირთული იყო როგორც რთული სამუშაო პროცესით, ასევე სხვადასხვა სოციალური აქტივობებით.

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე, ინგა შამილიშვილი,
ნათია ნიკლაშვილი,
მურმან ცეცხლაძე, მურმან გორგოშაძე,
დავით ბარათაშვილი,
გურამ ჩაგანავა, შოთა მამულაძე,
გუგული დუმბაძე, ნუგზარ ღომიძე

გაზეთი დაიბეჭდა შპს
„გამომცემლობა კოლორში“
ტელ.: 2 71 76 45
მის.: ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი,
რკინიგზის ჩიხი 20